პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

სამშაბათი, 2 ნოემბერი, 1948 წ. № 218 (8262). ფასი 20 კაპ.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXXI წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავს!

2. ძმური სალამი ხალხებს, რომლებიც იბრძვიან დემოკრატიისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის!

3. გაუმარჯოს ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში — სახალხო დემოკრატიის გამარჯვებისათვის!

4. ყველა ქვეყნის მშრომელნო! ამხილეთ ახალი ომის გამჩაღებელთა აგრესიული ზრახვანი! დარაზმეთ დემოკრატიის ძალები მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში!

5. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს — მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო ბურჯს!

6. დიდება საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც დაიცვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარნი, ჩვენი სამშობლოს ხალხების თავისუფლება და დამოუკიდებლობა!

7. საბჭოთა მეომრებო! დაუღალავად ამაღლეთ თქვენი სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, დაეუფლეთ დიდი სამამულო ომის გამოცდილებას, სრულჰყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, განამტკიცეთ საბჭოთა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ძლიერება!

8. გაუმარჯოს საბჭოთა მესაზღვრეებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს!

9. დიდება საბჭოთა კავშირის გმირებსა და სოციალისტური შრომის გმირებს — ჩვენი დიადი სამშობლოს საუკეთესო შვილებს!

10. საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო, ინტელიგენციავ! წინ, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში!

11. დიდება მოწინავე საწარმოთა მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს ახალი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის გეგმა!

12. საბჭოთა კავშირის მშრომელნო! იბრძოლეთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში უაღრესი მომჭირნეობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის! შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება და აუმჯობესეთ მისი ხარისხი, ზარდეთ შრომის ნაყოფიერება!

13. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ქვანახშირის მოპოვება, უკეთ გამოიყენეთ მექანიზმები! უფრო მალე აღადგინეთ და აშენეთ ახალი შახტები! აითვისეთ მეშახტეების — სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილება! მთლიანად უზრუნველყოთ სათბობით სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება!

14. ნავთის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააძლიერეთ ნავთის მოპოვებისა და გადამუშავების ტემპი! უფრო მალე აითვისეთ ახალი საბადოები! მეტი ნავთპროდუქტები სახალხო მეურნეობისათვის!

15. მეტალურგიული მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ლითონის წარმოების ახალი მძლავრი აღმავლობისათვის! ზარდეთ საწარმოთა რენტაბელობა! მივცეთ სახალხო მეურნეობას მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფერადი ლითონი!

16. ელექტროსადგურების მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო მალე აამუშავეთ ახალი ენერგეტიკული სიმძლავრენი! აითვისეთ მოწინავე ტექნიკა! შეუფერხებლად მოამარაგეთ ელექტროენერგიით სახალხო მეურნეობა!

17. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! აღჭურვეთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობა მოწინავე ტექნიკით! დაამზადეთ მეტი მანქანა მრეწველობისა, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობისათვის!

18. საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველმხრივ გაადიდეთ ახალი ავტომობილების წარმოება! განუწყვეტლად ზარდეთ ტრაქტორების გამოშვება!

19. ქიმიური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ახალი, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვისათვის! ზარდეთ ქიმიური პროდუქტების წარმოება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის!

20. გემთმშენებლობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი ხომალდები! სრულჰყავით გემთმშენებლობის ტექნიკა! შევქმნათ საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი ფლოტი!

21. მშენებლო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო მალე ჩააყენეთ მწყობრში ახალი საწარმოები, საცხოვრებელი ბინები და კულტურული დაწესებულებანი! მოახდინეთ სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია, შეამცირეთ მშენებლობის თვითღირებულება და გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

22. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ცემენტის, აგურის, მინის, სახურავის და სხვა მასალის წარმოება ომისშემდგომი ხუთწლედის მშენებლობებისათვის!

23. სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველმხრივ ზარდეთ ხე-ტყის დამზადება და გამოტანა! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი ქაღალდი და ხე-ტყის მასალა!

24. საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, ტრიკოტაჟისა და სხვა საქონლის წარმოება მოსახლეობისათვის! იბრძოლეთ პროდუქციის მაღალი ხარისხისა და ფართო ასორტიმენტისათვის!

25. კვების, ხორცისა და რძის, თევზის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ კვების პროდუქტების წარმოება და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი! მეტი შაქარი, ერბო-კარაქი, ხორცისა და რძის, თევზისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

26. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! მეტი საქონელი ადგილობრივი ნედლეულისაგან! გააუმჯობესეთ ნაკეთობათა ხარისხი! უკეთ მოემსახურეთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებას!

27. საქალაქო მეურნეობისა და საბინაო მშენებლობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ ქალაქებისა და მუშათა დაბების კეთილმოწყობისათვის! გააძლიერეთ საბინაო და კულტურული მშენებლობის ტემპი და გააუმჯობესეთ მათი ხარისხი!

28. საბჭოთა რკინიგზელებო! გააძლიერეთ რკინიგზების აღდგენისა და მშენებლობის ტემპი! ზარდეთ დატვირთვა, დააჩქარეთ ვაგონების მიმოქცევა, შეამცირეთ გადაზიდვის თვითღირებულება! უკეთ მოემსახურეთ მგზავრებს!

29. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! უფრო სწრაფად გადაზიდეთ ტვირთი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის! დააჩქარეთ გემების მიმოსვლა! სანიმუშოდ ემზადეთ 1949 წლის ნაოსნობისათვის!

30. სოფლის მეურნეობის მშრომელნო! ამრავლეთ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის წარმატებანი! შევქმნათ სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის!

31. დიდება კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, რომლებმაც პირნათლად შეასრულეს თავისი ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე!

32. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელ ფართობზე უხვი მოსავლის მიღებისათვის! ამრავლეთ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, ორდენოსანთა და სოციალისტური შრომის გმირთა რიგები!

33. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! აამაღლეთ სოციალისტური მიწათმოქმედების კულტურა! ფართოდ დანერგეთ სოფლის მეურნეობაში მიჩურინელთა მიღწევანი!

34. კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშებო, ზოოტექნიკოსებო და ვეტერინარო მუშაკებო! განამტკიცეთ და განავითარეთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა! ყოველმხრივ ზარდეთ პირუტყვის სულადობა და ამავე დროს მეცხოველეობის პროდუქტიულობა!

35. კოლმეურნეებო! ამრავლეთ კოლმეურნეობების საზოგადოებრივი სიმდიდრე, განამტკიცეთ შრომის დისციპლინა! წმიდად დაიცავით სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონი!

36. სოციალისტური მიწათმოქმედების მშრომელნო! აქტიურად ჩაებით ბრძოლაში სსრ კავშირის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში მინდორსაცავი ტყის გაშენების, ნათეს-ბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსაცავების მშენებლობის სახელმწიფო გეგმის განსახორციელებლად! უზრუნველვყოთ უხვი და მყარი მოსავალი!

37. საბჭოთა ვაჭრობის, კოოპერაციის, საზოგადოებრივი კვების მუშაკებო! ყოველმხრივ განავითარეთ კულტურული საბჭოთა ვაჭრობა ქალაქად და სოფლად! გააუმჯობესეთ საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება!

38. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებო! გააუმჯობესეთ საბჭოთა აპარატის მუშაობა, გააძლიერეთ სახელმწიფო დისციპლინა, გულისხმიერად მოეპყარით მშრომელთა მოთხოვნასა და საჭიროებას!

39. საბჭოთა მეცნიერების მუშაკებო! გაამდიდრეთ ჩვენი ქვეყნის მეცნიერება და ტექნიკა ახალი გამოკვლევებით, გამოგონებითა და აღმოჩენებით! დანერგეთ მეცნიერების მიღწევანი წარმოებაში, წინ წასწიეთ ტექნიკა!

40. ლიტერატურის, ხელოვნების, კინემატოგრაფიის მუშაკებო! აამაღლეთ თქვენი ოსტატობის დონე! შეჰქმენით დიდი საბჭოთა ხალხის ღირსი ახალი მაღალიდეური მხატვრული ნაწარმოებნი!

41. მასწავლებლებო, სახალხო განათლების მუშაკებო! აღჭურვეთ მოსწავლენი მეცნიერების მიღწევებით! აღზარდეთ ჩვენი ახალგაზრდობა საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით! მოამზადეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული მოქალაქენი, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლნი!

42. მედიცინის მუშაკებო! იბრძოლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა სანიმუშო მუშაობისათვის! გააუმჯობესეთ მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების ხარისხი!

43. საყოველთაო სახალხო მზრუნველობას ნუ მოვაკლებთ სამამულო ომის ინვალიდებს და იმ გმირ საბჭოთა მეომრების ოჯახებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას!

44. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! გამოიჩინეთ განუწყვეტელი მზრუნველობა მუშებისა და მოსამსახურეების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

45. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის! გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

46. გაუმარჯოს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს — გმირი საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმს!

47. საბჭოთა ჭაბუკებო და ქალიშვილებო! დაეუფლეთ მოწინავე მეცნიერებას, ტექნიკას, კულტურას! იყავით მტკიცე და გაბედული, მზად ყოველგვარი სიძნელის დასაძლევად! თავდადებით იშრომეთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

48. პიონერებო და მოსწავლეებო! დაუღალავად დაეუფლეთ ცოდნას, ემზადეთ, რათა გახდეთ მტკიცე მებრძოლნი ლენინ-სტალინის საქმისათვის!

49. კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

50. გაუმარჯოს ჩვენს დიდ საბჭოთა სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს!

51. გაუმარჯოს დიად პარტიას ბოლშევიკებისას, ლენინ-სტალინის პარტიას, საბჭოთა ხალხის ბრძოლებში გამოწრთობილ ავანგარდს, ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

52. ლენინის დროშით, სტალინის წინამძღოლობით, წინ—კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ უკრაინის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა 1948 წლის 20 ოქტომბერს, შარშანდელთან შედარებით 15 დღით ადრე, 104,3 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 8 მილიონ 181 ათასი ფუთით მეტი კარტოფილი, ვიდრე შარშან.

გეგმის გადამეტებით კარტოფილის ჩაბარება გრძელდება.

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ნ. ხრუშჩოვი**

უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. კოროტჩენკო**

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული უკრაინის სს რესპუბლიკაში **ვ. კალაშნიკოვი**

უკრაინის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი **გ. ბუტენკო**

მოსკოვსა და ლენინგრადს გაიგზავნა ციტრუსოვანთა ნაყოფის პირველი მარშრუტები

საქართველოს ციტრუსოვანთა რაიონებში მიმდინარეობს ლიმონისა და მანდარინის შერჩევითი კრეფა.

მოსკოვსა და ლენინგრადს გაიგზავნა ახალი მოსავლის ნაყოფით დატვირთული პირველი ორი სპეციალური მარშრუტი 70 ვაგონის შემადგენლობით.

მოსკოვს გაიგზავნა 48 ვაგონი ლიმონი და მანდარინი, ლენინგრადს—22.

მოსავლის დამწიფების მიხედვით უფრო მეტი რაოდენობით იწარმოებს ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება და გაგზავნა მოსკოვსა, ლენინგრადსა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე ს ტ ა ლ ი ნ ს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ აზერბაიჯანის სსრ კო[illegible] მეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1948 წლის 25 ოქტომბერს პ[illegible] დამზადების სახელმწიფო გეგმა 100,4 პროცენტით შეასრულეს, ყურძნ[illegible] 114,4 პროცენტით და ხილისა—102,6 პროცენტით. სასაქონლო კულტ[illegible]ნ-ჩაბარების დაწესებული გეგმა შესრულებულია: ხორბლისა—101,1 [illegible],540 ტით, ბრინჯისა— 101,4 პროცენტით. წელს სახელმწიფოს ჩაბარ[illegible]ილის ცენტნერით მეტი ყურძენი, ვიდრე 1947 წელს. ბრინჯის, ყურძნი[illegible] დამზადება გრძელდება.

აზერბაიჯანის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი [illegible]ულიევი

აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარ[illegible] [illegible] იროვი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული აზერბაიჯან[illegible] რესპუბლიკაში [illegible]უსტაფაევი

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მინის[illegible] [illegible]ივანოვი

აზერბაიჯანის სსრ საგემოვნო მრეწველობის მინ[illegible]. კარკარიანი

მარგანეცის ტრესტმა შეასრულ[illegible]თვის გეგმა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის მრეწველობის ტრესტის კოლექტივმა ამ დღეებში მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა — მარგანეცის ამოღების ათი თვის გეგმა 25 ოქტომბრისა[illegible]თვის [illegible]ა. განსაკუთრებით გამ[illegible] მუშაობა ლენინისა და აუმ[illegible]ის სახელობის მაღაროთა ორ[illegible]ებმა.

[illegible]ის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა [illegible]ვალდებულება იკისრეს 6.000 ტონა თესლოვანი ხილი მიჰყიდონ გეგმის გადამეტებით დამამზადებელ ორგანიზაციებს

გორის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვადამდე 112,5 პროცენტით შეასრულეს კურკოვანი და თესლოვანი ხილის ჩაბარების წლიური გეგმა. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გაგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანი ამხ. **უუჯიაშვილი** და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **კეჩხუაშვილი** იუწყებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს კონტრაქტაციის წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 2.000 ტონა თესლოვანი ხილი და, გარდა ამისა, კოოპერაციული ვაჭრობის წესით მიჰყიდონ სამომხმარებლო კოოპერაციას 4.000 ტონა თესლოვანი ხილი.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 3.736 ცენტნერი ბოსტნეული, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 3.000 ცენტნერისა.

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ვანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარეს 1.700 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 1.500 ცენტნერისა.

პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ორ დღეს—26 და 27 ოქტომბერს — გრძელდებოდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწვეული პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორებმა და რედაქციების მუშაკებმა, პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნებმა პროპაგანდის დარგში, პარტიის საქალაქო კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა, საქდესის, საქართველოს რადიოკომიტეტისა და მთავლიტის მუშაკებმა.

მოხსენება „პარტიული ცხოვრებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხები გაზეთების ფურცლებზე" გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. **ა. ნუცუბიძემ.** მან აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ დროს გაზეთები უკეთ აშუქებენ პარტიული ორგანიზაციების მუშაობას, ხშირად ბეჭდავენ პროპაგანდისტულ სტატიებს.

მაგრამ გაზეთების ფურცლებზე პარტიული ცხოვრებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის საკითხების გაშუქებაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. ზოგიერთი გაზეთის რედაქციამ ვერ გაიგო მნიშვნელობა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მოთხოვნათა შესაბამისად. აშკარად არასაკმარისია პარტიული ორგანიზაციებისათვის გაზეთების დახმარება პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის კონკრეტული საკითხების დაყენებაში. გაზეთები სათანადოდ ვერ აზოგადებენ პარტიული ორგანიზაციების დადებით გამოცდილებას, ვერ ავლინებენ და ყველა პარტიული მუშაკის ხელმისაწვდომს ვერ ხდიან მუშაობის ახალ, დღევანდელი მოთხოვნების შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს.

გაზეთების რედაქციებს უნდა ახსოვდეთ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „გაზეთებში პარტიული ცხოვრების დაყენების შესახებ". მართალია, ეს დადგენილება 1926 წელს არის მიღებული, მაგრამ მან სავსებით შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა ახლაც. ამ დადგენილებაში განსაზღვრულია გაზეთების პარტიულ განყოფილებათა ამოცანები და, კერძოდ, აღნიშნულია იმის საჭიროება, რომ გამოვლინებულ იქნას შინაპარტიული და პარტიულ-მასობრივი მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, გაშუქებულ იქნას პარტიული დირექტივების შესრულების საკითხები, განმარტებულ იქნას ძირეული პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება საოლქო გაზეთების „მოლოტის", „ვოლჟსკაია კომუნის" და „კურსკაია პრავდის" გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მოითხოვს, რომ გაზეთებში აუცილებლად ქვეყნდებოდეს მასალები, რომლებიც განმარტავენ პარტიის მოთხოვნებს თვითეული კომუნისტისადმი, მათს უფლებებსა და მოვალეობას, კომუნისტთა იდეური დონის ამაღლების მნიშვნელობას სოციალისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ამხ. ა. ნუცუბიძემ ცხადჰყო, თუ როგორ ათავსებენ თავიანთ ფურცლებზე ზოგიერთი გაზეთები („ბატუმსკი რაბოჩი" და სხვები) არაკონკრეტულ, დეკლარაციული ხასიათის მასალებს, სჯერდებიან ინფორმაციას, არ ბეჭდავენ შინაარსიან სტატიებს, არ აზოგადებენ მუშაობის დადებით გამოცდილებას.

გაზეთი „ზარია ვოსტოკა" ფართოდ აშუქებს ქალაქის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას, მაგრამ ნაკლებ არის დაკავშირებული სოფლის პარტიულ ორგანიზაციებთან, საკმარისად არ სწერს მათი მუშაობის შესახებ.

გაზეთი „საბჭოთა აჭარა" სჯერდება პარტიის რაიკომების პლენუმების ანგარიშებს და განყოფილებაში „პარტიული ცხოვრება" ათავსებს წმინდა საწარმოო ხასიათის წერილებს.

ხშირად გაზეთები გვერდს უვლიან სერიოზულ ნაკლოვანებებს ცალკეული პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში, რომელთა მდივნებს არასწორად ესმით და განმარტავენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის საწესდებო უფლებას, მიღებულ გადაწყვეტილებებში იმეორებენ სამეურნეო მუშაკთა ბრძანებებს, ხოლო ცალკე შემთხვევებში ცდილობენ შესცვალონ დირექცია. გაზეთმა „ბატუმსკი რაბოჩიმ", რომელმაც დაბეჭდა ამხ. ბერაძის ასეთი ხასიათის წერილი, ვერ შენიშნა პარტორგანიზაციის მდივნის მუშაობის არასწორი მეთოდები.

პარტიული ორგანიზაციების მიერ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის საკითხებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ ამაზე ცოტას სწერენ საოლქო და საქალაქო გაზეთები. საოლქო გაზეთებიდან ამ თემაზე მასალები მოათავსა მხოლოდ გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა", მაგრამ ამ მასალებიდან არ ჩანს, თუ რამდენად ქმედითია ეს კონტროლი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებაში „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" გამოსვლასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ" აღნიშნავდა, რომ პრესა — ჟურნალები, გაზეთები, ბროშურები — მთავარი, გადამწყვეტი იარაღი უნდა გახდეს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდაში.

ამავე დროს ჩვენი გაზეთები, მათ შორის რესპუბლიკური გაზეთებიც, ჯერ კიდევ ცოტას ბეჭდავენ შინაარსიან პროპაგანდისტულ სტატიებს. ძალიან შეზღუდულია იმ პროპაგანდისტული სტატიების თემატიკა, რომლებიც გაზეთ „კომუნისტსა" და „ზარია ვოსტოკაში" იყო.

მარქსისტულ - ლენინურ თეორიასთან ერთად ფართო პროპაგანდა უნდა გავუწიოთ ეკონომიურ მეცნიერებას. სახალხო მეურნეობის ეკონომიკის ცოდნით თვითეული კომუნისტის — სამეურნეო ხელმძღვანელის, პარტიული, კომკავშირული მუშაკის — შეიარაღება ყველა გაზეთის მოვალეობაა.

„ზარია ვოსტოკას" პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. **ნ. პავჩინსკიმ** თავის მოხსენებაში დაწვრილებით ილაპარაკა გაზეთის გამოცდილებაზე საქართველოს მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების საკითხთა გაშუქებაში.

ძირითად ყურადღებას გაზეთი უთმობს შეჯიბრების ახალი ფორმებისა და მეთოდების გავრცელებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ზეგეგმითი დაგროვების საკითხებს. ბევრი მასალა მიძღვნილი იყო სტახანოვური განრიგით მუშაობის გამოცდილების გავრცელებისადმი. რუბრიკით „გავუფრთხილდეთ თვითეულ საბჭოთა კაპიკს" გაზეთის ფურცლებზე გაშუქებულ იქნა მომჭირნეობის რეჟიმის ამოცანები.

— ჩვენ, — ამბობს მომხსენებელი, — დიდი მუშაობა მოგვიწია სოციალისტური შეჯიბრების გასაჩაღებლად 155 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვებისათვის, 1948 წლის წარმატებით დამთავრებისა და ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის. ჩვენ შეგნებული გვაქვს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ გაგვიკეთებია, რომ ხშირად გვერდს ვუვლით დიდმნიშვნელოვან საკითხებს, ვეხებით მას შემთხვევით, ზერელედ. ცოტა გვაქვს გაკეთებული იმისათვისაც, რომ ცოცხლად, საინტერესოდ, წარმტაცად ვუამბოთ მკითხველს ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მოწინავე ადამიანებზე, მათ გამოცდილებაზე, ნოვატორულ მუშაობაზე. კრიტიკა გაზეთის ფურცლებზე ჯერ კიდევ ფართო და მწვავე არ არის. საჭიროა მეტი ყურადღება დაეთმოს ჩამორჩენილ ქარხნებსა და ფაბრიკებს, მუშათა ტექნიკური განათლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს.

გაზეთის ფურცლებზე სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქებას მიუძღვნა თავისი მოხსენება „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. **ი. ნატროშვილმა.**

— უხვი მოსავლის ოსტატთა პოპულარიზაცია, — სთქვა მან, — პრესის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. „კომუნისტის" კოლექტივმა ბევრი რამ გააკეთა, რომ თავი გაერთვა ამ ამოცანისათვის. ჩვენ ცოტა კარგი წამოწყება როდი გვაქვს, რომლებმაც საშუალება მოგვცა მოგვეზიდა დიდი აქტივი. გაზეთმა წამოაყენა ძვირფასი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარებასთან, კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები. ამ საკითხებს მიეძღვნა არა მარტო სტატიები და კორესპონდენციები, არამედ სპეციალური გვერდებიც. ამ მასალებში განსაკუთრებული იყო სოფლის მეურნეობის მოწინავეთა, უხვი მოსავლის ოსტატთა, სოციალისტური შრომის გმირთა და ორდენოსანთა გამოცდილება. მაგრამ ჩვენს მუშაობაში ნაკლოვანებები არის. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციის შესახებ სტატიებს უმთავრესად რედაქციის მუშაკები სწერენ. ჩვენ საკმაოდ ვერ მოვიზიდეთ გაზეთში მონაწილეობისათვის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები — აგრონომები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარები, მეცნიერი მუშაკები. საჭიროა ქმედითი დახმარება გაეწიოს საოლქო და რაიონულ გაზეთებს სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქებაში. ასეთი [illegible] ერთ-ერთი სახეა პრესის [illegible], მაგრამ ჩვენ მას ცოტას [illegible].

გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქტორმა ამხ. **ა. ბალათურიამ** ილაპარაკა ავტორთა აქტივთან რედაქციის მუშაობაზე. ხშირმა რეიდებმა მკითხველთა მონაწილეობით, ინდივიდუალურმა მუშაობამ ავტორებთან, გულისხმიერმა დამოკიდებულებამ მშრომელთა წერილებისადმი განამტკიცა მასებთან ჩვენი გაზეთის კავშირი. ამასთან, — სთქვა მან, — ჯერ კიდევ ყველა ჩვენი განყოფილება არ იხილავს გეგმებს აქტივთან ერთად, ჩვენ ვერ მოვაწყვეთ სემინარი ავტორებისათვის.

გაზეთის გარშემო შექმნილ ავტორთა დიდ აქტივზე ილაპარაკა აგრეთვე „ტყვარჩელის მაღაროელის" რედაქტორმა ამხ. **გოლდინოვმა.** — რედაქციაში შემოსული წერილების ცხრა მეათედი გაზეთში ქვეყნდება, მაგრამ ჩვენ უკეთ უნდა ვიბრძოლოთ მასალების ქმედითიანობისათვის, გავაუმჯობესოთ მათი ლიტერატურული ხარისხი. — იგი, ისევე როგორც სხვა გამომსვლელები, აღნიშნავს ნაკლოვანებებს საქდესის მიერ საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების მომსახურებაში.

საქდესის პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა ამხ. **ბ. შატბერაშვილმა** აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინფორმაციის მიღება მოსკოვიდან და დააყენა ბათუმთან და სოხუმთან სატელეტაიპო კავშირის დამყარების საკითხი. მან დაადასტურა მთელი რიგი რედაქტორების განცხადებანი სტელეგრაფო ინფორმაციაში დამახინჯებათა და პრესისათვის დეპეშების გადაცემისადმი კავშირგაბმულობის მუშაკთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ. ამხ. შატბერაშვილი აგრეთვე აღნიშნავს, რომ საქდესის ინფორმაციის თარგმნის ცენტრალიზაცია ბევრად დააჩქარებდა ადგილებისათვის დეპეშების გადაცემას.

გაზეთის ახალ წამოწყებებზე ილაპარაკა „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორმა ამხ. **გ. მერკვილაძემ.** მუდმივი სათაურის ქვეშ „ადამიანები, რომლებმაც დროს გაუსწრეს" გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ნაამბობს თავიანთი საწარმოო გამოცდილების შესახებ. როგორც ნაკლოვანება მუშაობაში, მან აღნიშნა, რომ რედაქციამ ვერ შესძლო გაზეთში მიეზიდა სოფლის ფართო აქტივი. მან შეიტანა წინადადება შემოღებულ იქნას საოლქო გაზეთების მუშაკთა მივლინება რესპუბლიკურ გაზეთებში მათი მუშაობის პრაქტიკული გაცნობისათვის.

მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა თათბირის წინაშე გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორმა ამხ. **ა. კელენჯერიძემ.** ფართოდ აშუქებენ რა მშრომელთა საწარმოო წარმატებებს, გაზეთებს ხშირად მხედველობიდან რჩებათ საბჭოთა ადამიანის ცხოვრების მეორე, დიდმნიშვნელოვანი მხარე — მისი საყოფაცხოვრებო მოწყობა, სულიერი მოთხოვნა. ჩვენმა პირველმა ცდამ, დაგვებეჭდა სტატიები და წერილები ამ თემებზე, ცხადჰყო მკითხველთა დიდი ინტერესი. ცუდი არ იქნება, თუ რესპუბლიკური გაზეთებიც ხშირად გამოვლენ ამ საკითხებზე.

— „ზარია ვოსტოკას" ფურცლებზე, — ამბობს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პრესის სექტორის გამგე ამხ. **დ. მაისურაძე,** — ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის გაშლილი საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანოების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა. რესპუბლიკური გაზეთები ხშირად ივიწყებენ, რომ ისინი მოვალენი არიან ფართოდ გააშუქონ საბჭოთა სოფლის ცხოვრება და გაზეთის ფურცლებზე სჭარბობს ქალაქის მასალა. გაზეთი „კომუნისტი" ხშირად, ნომრიდან ნომერში, ბეჭდავს გრძელ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთა ადგილი ჟურნალის ფურცლებზეა. ეს უფრო მეტად შეეხება გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებას", რომელსაც ადგილი აღარ რჩება ოპერატიული მასალისათვის. დამახასიათებელია, რომ იგი არ გამოეხმაურა „ლიტერატურნაია გაზეტას" შესანიშნავ ინიციატივასაც კი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ლაშქრობას ჩვენი ქვეყნის ფაბრიკების მიერ ქაღალდის გამოშვების გადიდებისათვის.

თათბირს მუშაობის გამოცდილება გაუზიარეს გაზეთ „ლენინის დროშის" (მახარაძე) რედაქტორმა ამხ. **ა. სალუქვაძემ** და „სიმართლის" (ქუთაისი) რედაქტორმა ამხ. **ს. ჯავახაძემ.**

საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. კუდუხოვმა** ილაპარაკა სამხრეთ ოსეთის გაზეთების მუშაობაზე და აღნიშნა, რომ ზოგიერთ თეორიულ სტატიებში დაშვებულ იქნა შეცდომები და დამახინჯებანი, რაც განიხილა საოლქო კომიტეტმა. საოლქო გაზეთებმა მოაწყეს ფურცლების გამოშვება სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაზე, დაეხმარნენ კოლმეურნეობებს ხუთწლიანი გეგმის შედგენაში. მაგრამ პრესა ჯერ კიდევ სუსტად აკრიტიკებს ნაკლოვანებებს. გაზეთში მოთავსებული მასალები ღრმა შინაარსისა არ არის. ამხ. კუდუხოვი აყენებს საკითხს ადგილობრივი გაზეთების პოლიგრაფიული ბაზის გაძლიერებისა და რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე ოლქის ცხოვრების უფრო ფართოდ გაშუქების შესახებ.

საგაზეთო ინიციატივასა და ოპერატიულ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილემ ამხ. **ა. ხმელნიცკიმ.** მან აღნიშნა, რომ საჭიროა საქდესის ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესება, გაზეთებისათვის მისი მიწოდების დაჩქარება და კონტროლის გაძლიერება სტამბების მუშაობისადმი გაზეთების გამოშვების დარგში.

თათბირზე გამოვიდნენ ამხ. **გ. რუხაძე** (პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი), **პ. სემენოვსკი** („სოვეტსკაია აბხაზია"), **ი. თედიაშვილი** („საბჭოთა [illegible]ო"), **ი. რურუა** („საბჭოთა აჭარა"), [illegible]

[illegible]თბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი[illegible] მდივანმა პროპაგანდის დარგში [illegible]**დურმა.**

[illegible] პრესისა და საერთოდ საბჭოთა [illegible]ნისაზღვანები, — სთქვა მან, — გა[illegible] ამოცანე როგორც ცნობილია, იმ მიმართ[illegible] რომელთა გადაჭრისაკენ საქმიანობ[illegible]მად ჩვენი პარტიის [illegible] შეიძლებ[illegible] [illegible]კური და საი[illegible], რომ რესპუბლი[illegible]ში მათ წინაშე [illegible]აზეთების მუშაობა [illegible] შესრულების [illegible]ხული ამოცანების [illegible] ლიწადნახევრის [illegible] უკანასკნელი წ[illegible]ულია შემდგომი[illegible]ლობაში მიღწ[illegible]რამ ბევრი გაზეთ[illegible]ობესება, მაგ[illegible]ნად გაუმჯობესებ[illegible] არსის ძირია[illegible]პარაკი არ შეგვიძლი[illegible]ნ ჯერ ლა[illegible] ჩვენი გაზეთების პოლიტიკური დონე [illegible] იდეურ[illegible]ლია. გაზეთებში ყო[illegible] დაბა[illegible] მიზანდასახული მასალებ[illegible] როდია [illegible]თი პოლიტიკური ზიგავლე[illegible]ზე მა[illegible]ძალა. რედაქციას ზოგჯერ [illegible]ნდო [illegible]ზელი თვალი, რომელიც [illegible] ნახავდა და პარტიულად [illegible] ახალ მოვლენებს, რომელიც დროზე შენიშნავდა და ბოლშევიკური კრიტიკის პროჟექტორით გააშუქებდა ძველ, ჩვენი წინსვლის შემაფერხებელ ნაშთებს.

გაზეთებმა უფრო გაბედულად და მწვავედ უნდა გააკრიტიკონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებანი, გადაჭრით იბრძოლონ უძრაობის, რუტინის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომლებიც აბრკოლებენ სახალხო მეურნეობაში არსებული უდიდესი რეზერვებისა და ჩვენი წინსვლის დაჩქარების შესაძლებლობათა გამოყენებას.

ნაკლოვანებათა კრიტიკა უნდა ხდებოდეს არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, არა კამპანიის წესით, არამედ მეთოდურად, დღითიდღე. დიდი მნიშვნელობა აქვს ამავე დროს იმას, რომ კრიტიკა იყოს მტკიცედ დასაბუთებული, სამართლიანი, ნამდვილი ბოლშევიკური.

გაზეთების შეუსუსტებელი კონტროლის ქვეშ უნდა იყოს, კერძოდ, საბინაო მშენებლობის გეგმების შესრულება, მუშათა საერთო საცხოვრებლებში კულტურისა და წესრიგის დამყარება, სამედიცინო დაწესებულებათა და მშრომელთა ფართო მასების საჭიროებისათვის მომუშავე ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობა.

გაზეთები მოვალენი არიან ბეჭდონ მეტი სტატიები უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, თეატრების, მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირისა და სხვათა პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, მეტი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდობაში აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს.

შემდეგ ამხ. შადური ლაპარაკობს ავტორთა აქტივთან რედაქციების მუშაობაზე.

— გაზეთებმა თავიანთ გარშემო უნდა დარაზმონ აქტივი, დაეყრდნონ მას მთელ თავის მუშაობაში. საჭიროა მუშაობა კორესპონდენტებთან, მუშკორებთან, სოფლკორებთან, მათი აღზრდა პარტიული სულისკვეთებით, ზრუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. საჭიროა მათ ვასწავლოთ, რომ კორესპონდენციის საფუძვლად უნდა აიღონ ფაქტები ცხოვრებიდან, შემოწმებული ფაქტები. ეს პირველი და აუცილებელი პირობაა. ენის და ფორმის თვალსაზრისით კორესპონდენცია ისე უნდა გაკეთდეს, რომ ინტერესით იკითხებოდეს. მაგრამ მთავარი კორესპონდენციაში ის არის, რომ გამსჭვალული იყოს პარტიულობით. ღრმა პარტიულობა, ფაქტებისა და მოვლენების პარტიული ანალიზი, სინამდვილისადმი პარტიული დამოკიდებულება ყველაზე მნიშვნელოვანია გაზეთისა და მისი აქტივის მუშაობაში. დროა ბოლო მოვუღოთ ნამდვილი ცხოვრებიდან მოწყვეტის, კარჩაკეტილობის ყოველგვარ გამოვლინებას, საბოლოოდ აღმოვფხვრათ მუშაობის კანცელარულ-ბიუროკრატული მეთოდები.

რესპუბლიკურმა და საოლქო გაზეთებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის განყოფილებებს.

ჩვენი გაზეთების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ჩაუნერგონ ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ნამდვილად შეგნებული, კომუნისტური დამოკიდებულება საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისადმი, სიყვარული ტექნიკისადმი, ზუსტი მეცნიერებისადმი. ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი აღნიშნავს, რომ არ უნდა შევასუსტოთ მუშაობა საქართველოში ჰუმანიტარული მეცნიერების შემდგომი განვითარების მხრივ, ყოველმხრივ უნდა გავაძლიეროთ ყურადღება ტექნიკისადმი, ძირითადად გავაუმჯობესოთ ტექნიკური ცოდნის პროპაგანდა. ამას მოითხოვს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის უდიდესი ზრდა.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული გადაწყვეტილებანი იდეოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც მიმართულია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთების სრული დაძლევისაკენ, ბურჟუაზიული კულტურის გამხრწნელი გავლენისაგან საბჭოთა ადამიანების სულიერი ინტერესების დაცვისაკენ, რომლებიც მიმართულია უცხოურის წინაშე მონური ქედის მოხრის გამოვლინების წინააღმდეგ, წარმოადგენს პარტიის მთელი იდეოლოგიური მუშაობის მძლავრი აღმავლობის ნამდვილ პროგრამას.

კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საკითხებზე პრესა ვალდებულია ყოველდღიურად იმუშაოს. გაზეთების ნაკლოვანებანი პარტიული საკითხების გაშუქებაში ჩვეულებრივ დაკავშირებულია თვით საგაზეთო მუშაკებში იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან. ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

— ჩვენი გაზეთები, — ამბობს დასასრულ ამხ. შადური, — მუშაობის ხარისხის განუწყვეტელი ამაღლებით, მკითხველთა მასებთან კავშირის განმტკიცებით, უნდა იდგნენ იმ დიდი და კეთილშობილური მოთხოვნების სიმაღლეზე, რომლებსაც მათ უყენებს საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტია, დიდი სტალინი.

* * *

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი რესპუბლიკის გაზეთების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

წლიური გეგმა—7 ნოემბრისათვის

11 თვის გეგმა 35 დღით ადრე შეასრულეს

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 35 დღით ადრე—26 ოქტომბრისათვის შეასრულა თერთმეტი თვის დავალება და 700.000 მანეთამდე ზეგეგმითი დაგროვება მიიღო.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ ის უბნები, რომლებსაც მ. გორგაძე, გ. კუპატაძე და ი. ფხალაძე ხელმძღვანელობენ. განსაკუთრებით კარგად მუშაობს მარგანეცის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი, რომელსაც ინჟინერი ვ. სალინაძე ხელმძღვანელობს.

გეგმებს ორ-სამმაგად ასრულებენ და დიად დღესასწაულს მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით ხვდებიან სტახანოველები ბულაძე, ცუცქირიძე, ჩაჩანიძე, გაფრინდაშვილი, ნეფარიძე, გოგოლაძე, გოგატიშვილი და სხვები.

ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ნ. დარახველიძე) საოქტომბრო შეჯიბრებაში მასობრივად ჩაბმის შედეგად მიმდინარე წლის საწარმოო გეგმა 8 თვეში შეასრულა, ამასთან 15 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, 12,3 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება და დააგროვა 400 ათასი მანეთი.

ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 120 ათასი მანეთის პროდუქცია და ზეგეგმითი დაგროვება გაადიდონ ნახევარ მილიონ მანეთამდე.

საოქტომბრო საჩუქრები სამშობლოს

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის" ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივმა 26 ოქტომბრისათვის შეასრულა წყალთა მეურნეობის სამუშაოთა წლიური გეგმა. მშენებლობის კოლექტივმა 5,3 პროცენტით შეამცირა მშენებლობის თვითღირებულება, ნაცვლად გეგმით ნავარაუდევი 3,5 პროცენტისა.

დიდი ოქტომბრის ზეიმის დღეებისათვის მშენებლები რესპუბლიკას შეჰმატებენ 5.000 ჰექტარ სარწყავ მიწას, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 4.000 ჰექტარისა.

* * *

საქართველოს მინერალური წყლების ტრესტმა, რომელმაც წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულება იკისრა და ამ მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სსრ კავშირის მინერალური წყლების ყველა ტრესტი, ნაკისრი ვალდებულება ვადამდე, 10 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა.

500 ათასი ცალი აგური გეგმის გადამეტებით

სტალინირი. (საკ. კორ.). სტალინირის აგურის ქარხანამ წლიური საწარმოო დავალება მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

გადაჭარბებით არის აგრეთვე შესრულებული გამომწვარი აგურის გამოშვების გეგმაც.

ქარხნის კოლექტივმა იკისრა დამატებით დაამზადოს 500.000 ცალი ნედლი აგური, ხოლო 15 დეკემბრისათვის წლიური გეგმის გადამეტებით გამოუშვას ნახევარი მილიონი ცალი გამომწვარი აგური და მიაღწიოს 20.000 მანეთ ზეგეგმით დაგროვებას.

ზრდიან ცემენტის გამოშვებას

კასპი. (საკ. კორ.). კასპის ცემენტის ქარხნის მუშათა კოლექტივმა მიმდინარე წლის 10 თვის საწარმოო გეგმა 20 ოქტომბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ყოველდღიურ საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებაში თავი ისახელეს საწვავი და საფქვავი საამქროების სტახანოველებმა: ზ. ბაინდურაშვილმა, ვ. კოტიაშვილმა, ნ. კოტიაშვილმა და ა. ნიპარიშვილმა.

საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში ქარხნის მოწინავე სტახანოველებმა შესამჩნევად გაადიდეს ცემენტის გამოშვება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების 25 წელი

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აღნიშნავს თავისი არსებობის 25 წლისთავს. ამ დროის განმავლობაში მან დიდი და მრავალფეროვანი მუშაობა გასწია.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ძირითად მიზანს შეადგენდა ომისა და სტიქიურ უბედურებათა დროს ფართო დახმარება გაეწია მთავრობის სამკურნალო - სანიტარული ორგანიზაციებისათვის დაჭრილთა, ავადმყოფთა და სამხედრო ტყვეთა მოვლა-პატრონობის საქმეში, აგრეთვე სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის.

ამ ამოცანათა შესრულებისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე ფართო მუშაობა გაშალა.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო დაწესებულებათა ქსელში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ შექმნა თავისი სამკურნალო-პროფილაქტიკური და სან-ჰიგიენური დაწესებულებანი. 1938 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მუშაობდა საქართველოს წითელი ჯვრის 16 საავადმყოფო, 48 საექიმო და 13 საფერშლო პუნქტი, 3 სამალარიო სადგური, 2 დედათა და ბავშვთა კონსულტაცია, 34 აფთიაქი, 13 სანჰიგიენის მაღაზია და სხვა.

25 წლის მანძილზე საზოგადოებამ კომპლექსზე „იყავ მზად სანიტარული თავდაცვისათვის" მოამზადა 1.700.000-ზე მეტი კაცი. ამ ღონისძიებით საზოგადოება დიდ დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს მოსახლეობის სანიტარული კულტურის ამაღლების საქმეში. საბჭოთა არმიის რიგებს ყოველწლიურად ემატება წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ სანიტარულად გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა. გარდა ამისა, საზოგადოებამ დიდი მუშაობა გასწია სათადარიგო საშუალო სამედიცინო პერსონალის მომზადებისა და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის სისტემის სანიტარულ ფორმირებათა შექმნის ხაზით. სამამულო ომის წლებში წითელი ჯვრის საზოგადოების სისტემაში მომზადებული სამედიცინო დები და სანიტარრაზმელები დიდსა და თავდადებულ მუშაობას ეწეოდნენ როგორც ბრძოლის ველზე, ისე ზურგის ევაკოჰოსპიტლებსა და სამკურნალო დაწესებულებებში. საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა მათი შრომა და მრავალი მათგანი ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოების მოღვაწეობაში საშეფო მუშაობას—დახმარების გაწევას ობოლი ბავშვების, ფრონტზე დაღუპულ საბჭოთა არმიელების ოჯახებისა და სამამულო ომის ინვალიდებისათვის. საშეფო მოღვაწეობის ხაზით გაწეული დახმარება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 5,5 მილიონ მანეთს აღემატება. ამ მხრივ აღსანიშნავია აფხაზეთის საოლქო, ქუთაისის საქალაქო, თბილისის ბერიასა და სტალინის რაიონების და თელავის რაიონის წითელი ჯვრის კომიტეტების მუშაობა.

ამჟამად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება თავის რიგებში 700.000-ზე მეტ წევრს ითვლის, მათ აერთიანებს 9.000 პირველადი ორგანიზაცია. საზოგადოებას ჩამოყალიბებული აქვს 11.000 სანიტარული საგუშაგო საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და სასწავლებლებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან წითელი ჯვრის საზოგადოების ორგანიზაციები კიბოსთან, ტუბერკულოზთან, მალარიასთან და ბავშვთა ტრავმატიზმთან ბრძოლის საქმეში, აგრეთვე მედიცინის დების, სანიტარრაზმელებისა და სანიტარული აქტივის მომზადების დარგში. ყოველწლიურად ეწყობა დასუფთავების დეკადები და ერთთვიურები. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების სანიმუშო სანიტარული მდგომარეობის შექმნის საქმეში მონაწილეობას იღებს საზოგადოების ათიათასობით წევრი.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობა რამდენჯერმე აღნიშნა საკავშირო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომმა. ამჟამად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას პირველი ადგილი უჭირავს საბჭოთა კავშირში და გარდამავალი წითელი დროშა აბარია.

ვ. ხარჩილავა

საქართველოს სსრ წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა 15 წლისაა

საბჭოთა საქართველოს მეტალურგიის პირმშოს—ზესტაფონის ლ. პ. ბერიას სახელობის ფეროშენადნობთა ქარხანას 15 წელი შეუსრულდა. ამ ქარხნის მძლავრმა ელექტროღუმელებმა 1933 წლის 1 ნოემბერს გამოუშვეს საბჭოთა მარკის პირველი ფეროშენადნობი.

1929 წლის მაისში, დიდი სტალინის მითითებით, გადაწყდა ზესტაფონში მძლავრი მეტალურგიული ქარხნის აგება, რომელსაც ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე უნდა ემუშავნა. უხსოვარი დროიდან ტყითა და შამბნარ-ჭაობით დაფარულ ადგილზე ჩაეყარა საფუძველი ქარხანას. მალე აღიმართა მისი უზბერთელა კორპუსები, გაჩაღდა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ ნაგებობათა მშენებლობა, ასფალტირებული ქუჩების, ბაღებისა და ხეივნების მოწყობა. წინანდელი შამბნარის ადგილას კოხტა თანამედროვე ტიპის ინდუსტრიული უბანი გაჩნდა.

ქარხნის მშენებლობის პერიოდში თბილისში მოეწყო საცდელი ღუმელი, სადაც ახალგაზრდა ქართველი ინჟინრები და ზესტაფონელი ახალგაზრდები — მომავალი კვალიფიციური მუშები, პროფესორ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით ლითონის დნობის ტექნოლოგიას ეუფლებოდნენ, რათა მიღებული ცოდნა შემდეგში ქარხანაში გამოეყენებინათ. სწორედ ამ ახალგაზრდა ქართველმა ინჟინრებმა და კვალიფიციურმა მუშებმა შეადგინეს ქარხნის სპეციალისტთა ძირითადი ბირთვი, რომლის წარმომადგენლები დღესაც წარმატებით მუშაობენ როგორც ფეროშენადნობთა ქარხანაში, ისე ჩვენი რესპუბლიკის სხვა საწარმოებშიც.

ქარხნის მშენებლობას, მის ამუშავებასა და ზრდა-დავაჟკაცებას ყოველდღიურ ხელმძღვანელობას უწევდნენ საბჭოთა ინდუსტრიის გამოჩენილი მშენებელი, დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლი ს. ორჯონიკიძე და ქართველი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ლ. პ. ბერია, რომლის სახელს დღეს ქარხანა ასე ამაყად ატარებს.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ქარხნის კოლექტივს დიდი სამამულო ომის წლებში. მან წარმატებით გაართვა თავი ომით გამოწვეულ სიძნელეებს, იგი სასახელოდ ასრულებდა მთავრობის ყველა დავალებას. ერიად საპასუხისმგებლო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის ქარხნის კოლექტივმა მრავალჯერ დაიმსახურა მადლობა და პრემია. მარტო სამამულო ომის პერიოდში ქარხნის მოწინავე ადამიანებმა სსრ კავშირის 1.862 ორდენი და მედალი მიიღეს, ქარხნის დირექტორმა ივ. კეკელიძემ, სტახანოველმა მდნობელმა ალ. სვანიძემ და პროფესორმა რ. აგლაძემ — ლენინის ორდენი.

სამამულო ომის პერიოდისათვის ქარხნის კოლექტივს უკვე 18 სხვადასხვა სახის შენადნობის ტექნოლოგია ჰქონდა ათვისებული.

სადნობი საამქრო ქარხნის გულია. ამ საამქროს 8 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ნიჭიერი ინჟინერი, ჩინებული ორგანიზატორი და სამეურნეო მუშაკი ამხ. ლ. მაღლაკელიძე, რომელიც ამჟამად ქარხნის დირექტორის მოადგილედაა დაწინაურებული. საამქრომ არაერთგზის მოიპოვა „საბჭოთა კავშირის საუკეთესო სადნობი საამქროს" წოდება, საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პრემიები. ამჟამად ამ საამქროს ხელმძღვანელობს ინჟინერი გ. შათირიშვილი.

სადნობ საამქროს მტკიცედ დარაზმული კოლექტივი ჰყავს. აქ დიდი ხანია მუშაობენ ინჟინრები: ალ. მესხი, გ. ლაბაძე, ნ. მაღლაკელიძე, გ. გველესიანი, გ. კიკნაველიძე; კვალიფიციური მუშები, რომლებიც იმდენად კარგად დაეუფლნენ ლითონის დნობის რთულ ტექნოლოგიას, რომ ამჟამად ინჟინრის მოვალეობას ასრულებენ. ესენია: ნ. გოგლიჩიძე, გ. დიაკონიძე, მ. ვაშაკიძე, შ. ლორია, რ. სალარეიშვილი, ქ. ქოჩიაშვილი, ივ. აბესაძე, დ. ქარქაშაძე, ივ. გიორგაძე და სხვები.

მოწინავეა მარგანეცის საამქრო, რომელსაც ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ხელმძღვანელობდა ინჟინერი შ. თედოზაშვილი. ახლა ამხ. თედოზაშვილი ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანია, ხოლო მის ნაცვლად საამქროს ხელმძღვანელობს ინჟინერი ბ. ლომთათიძე. საამქროში წარმატებით მუშაობენ ინჟინერი ნ. ქათამაძე, დ. კოვზირიძე, მდნობელი-ბრიგადირი ლენინის ორდენოსანი ალ. სვანიძე, კვალიფიციური მუშები ა. წასიძე, გ. კიკნაძე, ლ. ბრეგვაძე და სხვები.

ფეროშენადნობთა ქარხანას ათობით ნიჭიერი ნოვატორი ჰყავს, რომლებიც თავიანთი გამოგონებებითა და რაციონალიზატორული წინადადებებით წინ სწევენ ტექნიკურ აზრს. მარტო მიმდინარე წლის 9 თვეში მათ 82 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. მათი დიდი ნაწილი მიღებული და დანერგილია წარმოებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინჟინერ-ქიმიკოსის დ. ჩიკაშუას, ინჟინრების ირ. ლორთქიფანიძისა და გ. შათირიშვილის ერთობლივად დამუშავებული ღონისძიება ფერომანგანუმისა და სილიკო-მანგანუმის წარმოების ტექნოლოგიაში, რაც მიმდინარე წლიდან ხორციელდება და ქარხანას 4,3 მილიონი მანეთის ეკონომიას აძლევს. ომისშემდგომი ხუთწლედის მეორე წლის ბოლოს ქარხანამ უკვე მიაღწია საპროექტო წარმადობას, რაც 1950 წლისათვის იყო გათვალისწინებული. ამ წარმატებათა მოპოვებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქარხნის მთავარ ინჟინერს ვლ. მელაძეს, რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს ქარხნის ტექნიკურ დარგს, ეხმარება და კონსულტაციას უწევს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს.

ქარხნის კოლექტივმა მოსკოვის საწარმოთა კოლექტივების პატრიოტული ინიციატივის საპასუხოდ იკისრა კიდევ უფრო შეამციროს ელექტროენერგიის მოხმარება, გაადიდოს შრომის ნაყოფიერება, დაზოგოს ნედლეული და თვითღირებულების შემცირებით წლის ბოლომდე 3.800.000 მანეთი დაგროვება მისცეს სოციალისტურ სამშობლოს.

9 თვის მანძილზე ქარხნის კოლექტივმა დაზოგა 3.660 ტონა მარგანეცის მადანი, 5.765.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია. კოლექტივი კიდევ უფრო ნაყოფიერად განაგრძობს მუშაობას ოქტომბერში. პირველი ორი დეკადის გეგმა შესრულებულია 116,4 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის ეკონომია ოც დღეში 180.000 კილოვატსაათს უდრის.

ყველა ეს წარმატება იმის შედეგია, რომ ქარხანას მოწინავე ადამიანთა მრავალრიცხოვანი კადრები ჰყავს, რომლებიც თავდადებულად მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ქარხანაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საამქროებსა, ბრიგადებსა და ცალკეულ პროფესიათა მუშებს შორის. ქარხნის 55 მოწინავე სტახანოველს მიმდინარე წლის პირველი ნახევრისათვის უკვე შესრულებული ჰქონდა თავისი ხუთწლიანი გეგმა. მათ შორის არის პ. ფერაძე, რომელიც თვიურ დავალებას 300-ზე მეტი პროცენტით ასრულებს, ორ წელიწადსა და 9 თვეში მან 7 წლის ნორმა გამოიმუშავა. სატრანსპორტო საამქროში, კომკავშირელ გ. მაღლაკელიძის ბრიგადამ უკვე შეასრულა ხუთწლიანი გეგმა. ხუთწლიანი გეგმები შეასრულეს აგრეთვე მექანიკურ საამქროში გ. ჩალხაშვილის, ელექტროსაამქროში მ. კამკამიძისა და პ. ქლიბაძის ბრიგადებმა. ბრიგადამ, რომელსაც დ. ამილახვარი ხელმძღვანელობს, 9 თვეში 16 თვის დავალება შეასრულა. ასეთი მოწინავე ადამიანები ზესტაფონელ მეტალურგთა შორის მრავალია.

15 წელი შესრულდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ამუშავებიდან. ამ ხნის მანძილზე მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი სამშობლოს შემდგომი ძლიერების განსამტკიცებლად, იგი საქართველოს ინდუსტრიის სიამაყე გახდა.

ს. მუმლაძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

დანაშაულებრივი დაუდევრობა

10 ოქტომბერს მახარაძის რკინიგზის სადგურში მიიღეს ოთხღერძიანი ვაგონი № 1130880, ხოლო 11 ოქტომბერს მეორე ასეთი ვაგონი № 1188485. ორივე ვაგონი, თავღია გონდოლები, მინერალური სასუქით იყო დატვირთული. პირველში 59.880, ხოლო მეორეში 57.300 კილოგრამი „სულფატ-ამონი" იყო და ეკუთვნოდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა ანასეულის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს.

როგორც რკინიგზის მახარაძის სადგურის უფროსის მოადგილემ ამხ. ვლ. მელიქაძემ განაცხადა, აღნიშნული ვაგონების მიღების შესახებ ანასეულის ინსტიტუტს 11 ოქტომბერს დილის 8 საათზე ეცნობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაგონები ცის ქვეშ დაუცლელად იდგნენ 14 ოქტომბრის შუადღემდე. საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ 10-დან 14 ოქტომბრამდე მახარაძის რაიონში დღისითა და ღამით შეუჩერებლივ წვიმდა, რის შედეგადაც ათასობით კილოგრამი ძვირფასი მინერალური სასუქი განადგურდა.

აღნიშნული მდგომარეობის გამო ანასეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ამხ. გოლეთიანმა თავის მართლების მიზნით განაცხადა: ძლიერ ცუდი ამინდი იყო და გარეთ გამოსვლა შეუძლებელი შეიქნაო.

შეუწყნარებელია რკინიგზის მახარაძის სადგურის მუშაკთა და კერძოდ სადგურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ამხ. მელიქაძის დაუდევრობა, რომელიც გულდამშვიდებით შესცქეროდა 5 დღის განმავლობაში სახელმწიფო ქონების განადგურების აღმაშფოთებელ ფაქტს.

უსათუოდ არასწორად მოიქცა უკრაინის სსრ სტალინის სახელობის რკინიგზის სადგური—„პრავდაც", რომელმაც თავღია ვაგონებით მიიღო და გამოგზავნა ასეთი სახის ტვირთი.

ვ. ჯაყელი

რატომ იჩენენ უყურადღებობას?

შავი ზღვის რკინიგზის ხაზზე, სოფელ ზემო ქვალონში (ხობის რაიონი), იქ, სადაც რვაწლიანი სკოლაა, დაწესებულია მატარებლების გაჩერება. აქ თავს იყრიან შუა ქვალონის მარქსის და ბერიას, ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის სტალინის, კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობათა წევრები.

წინათ აქ პატარა მშვენიერი გადახურული ბაქანი იყო, მაგრამ უყურადღებობის გამო შენობა დაინგრა, ხოლო ფიცრები უკვალოდ გაჰქრა.

ასეთი მდგომარეობა კარგა ხანია გრძელდება, ყურადღებას კი არავინ აქცევს. საჭიროა ამ საქმეში ამიერკავკასიის რკინიგზების სამმართველოს ჩარევა.

დ. ალანია

საბჭოთა მშენებლობა

ახალგაზრდა დეპუტატი

— გამრჯე და მუყაითი კოლმეურნის კარმიდამოა, — ასე ამბობენ გზად მიმავალი ჩხარელები კოპწია იმერულ ორსართულიან სახლის შესახებ, რომელშიც ცხოვრობს სოფელ თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის ახალგაზრდა სტახანოველი ქალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ ბრეგვაძე. აქ, ქლიავით, ბროწეულით, ვაშლით სავსე ბაღში რაიონის სხვადასხვა სოფლებიდან ხშირად მოდიან ამომრჩევლები. ისინი დეპუტატს სთხოვენ დააჩქაროს ესა თუ ის საქმე, ზოგი პირად საჭირბოროტო საკითხებზეც ეთათბირება, აზრს უზიარებს და მისგან გონივრულ მითითებებს იღებს.

წინათ მდინარე ჩხარაზე წნული ხიდი იყო გადებული, წვიმების დროს ან ზამთარში იქ გავლა არ შეიძლებოდა. ამომრჩევლებმა თხოვნით მიმართეს თავიანთ დეპუტატს, რომელმაც ეს საკითხი მშრომელთა დეპუტატების ჩხარის რაისაბჭოს აღმასკომში დააყენა. მალე კოლმეურნეთა დახმარებით მდინარე ჩხარაზე აგებულ იქნა ახალი რკინა-ბეტონის ხიდი.

ძველი სკოლის კედლები ველარ იტევენ სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდობას, სასწავლო კაბინეტებიც პატარაა, გამოუსადეგარია. ამომრჩეველმა პედაგოგებმა თავის დეპუტატს მიმართეს; თამარ ბრეგვაძემ საკითხი საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე დააყენა. ახლა თერჯოლაში გაჩაღებულია მუშაობა საშუალო სკოლის ასაშენებლად.

ახალგაზრდა დეპუტატი პარტიის ჩხარის რაიონული კომიტეტისა და რაისაბჭოს აღმასკომის დახმარებით ყველა საჭირბოროტო საკითხს დროულად, ადგილზე სწყვეტს.

მთხოვნელთა მიღებისათვის დეპუტატ ქალს არა აქვს განსაზღვრული დრო, დღე იქნება თუ ღამე, მინდვრად თუ სახლში, ვინც უნდა მოვიდეს მასთან, ყველას მოუსმენს, ეთათბირება, აძლევს რჩევა-დარიგებას.

— ამას წინათ წვიმდა, მინდვრად მუშაობა არ შეიძლებოდა და ამიტომ კოლმეურნე ნინო დევიძესთან შევიარე, — მოგვითხრობს ამხ. ბრეგვაძე, — მას ქმარი ფრონტზე გმირულად დაეღუპა, სამი შვილი დარჩა, გამრჯე ქალს გვერდში მეზობლები ამოუდგნენ, გაამხნევეს, დაეხმარნენ, ბავშვებიც კარგად სწავლობენ. ბინაში შესვლისას დავინახე, რომ სახლის სახურავიდან წვიმა ჩამოდიოდა, მორცხვ მასპინძელს კი თურმე ერიდებოდა მოემართა დახმარებისათვის. მეორე დღეს მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს აღმასკომისაკენ გავეშურე. სოფელ თერჯოლის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის დახმარებით ფრონტელის მეუღლის სახლი შეკეთდა. ნინო დევიძე სტახანოველი კოლმეურნეა, მას წელს 400 შრომადღემდე აქვს გამომუშავებული.

ამომრჩევლებთან მჭიდრო კავშირით დეპუტატი იცნობს კოლმეურნეობის ყოველდღიურ ცხოვრებას, აქტიურ მონაწილეობას იღებს მასში. ამ ზაფხულს გვალვიანი დღეები დაიჭირა, მევენახე ისიდორე გოჩიაშვილის ნაკვეთი საფრთხეში იყო, დეპუტატის ინიციატივით კოლმეურნეებმა ორგანიზებულად მოაწყეს ვენახის მორწყვა. სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებით შემოდგომაზე აქ საუკეთესო ხარისხის ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს, მევენახე ისიდორე გოჩიაშვილს ნაკისრი ვალდებულებით 40 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო, ფაქტიურად 90 ცენტნერი მოიწია, მას არ ჩამორჩა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული, 70 წლის მოხუცი, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ვ. დოლაქიძე, რომელმაც ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ახალგაზრდა დეპუტატი კოლმეურნეობათა შორის ფართოდ ნერგავს სოციალისტურ შეჯიბრებას, ის თავის საუბარში ამომრჩევლებთან აშუქებს მოწინავეთა გამოცდილებას, ამჟღავნებს ნაკლოვანებებს, აჯამებს ნაკისრი ვალდებულების შესრულების შედეგებს.

სოფელ ღვანკითის სტალინის სახელობისა და სოფელ თერჯოლის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით 20-20 ტონა ყურძენი ჩააბარეს. დეპუტატმა ეს ფაქტი ამომრჩევლებთან საუბარში ფართოდ განაზოგადა, მომავალი წლის სამეურნეო ამოცანების წარმატებით გადაჭრას დაუკავშირა.

მშრომელთა დეპუტატების ზედა-სანოს საბჭოს აღმასკომი (თავმჯდომარე მ. ყიფიანი) რაიონში მოწინავეა ფულადი სახსრების მობილიზაციის საქმეში. საბჭომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 31-ე წლისთავისათვის ვალდებულება იკისრა შეასრულოს გადასახად - გამოსაღების წლიური გეგმა. ამ საპატიო ამოცანის გასანაღდებლად საბჭომ მტკიცედ დარაზმა დეპუტატები, აქტივი და მესამე კვარტალის გეგმა წარმატებით გაანაღდა, დეპუტატი ამ სასოფლო საბჭოს გამოცდილებაზე ესაუბრა სოფელ თერჯოლის სასოფლო საბჭოს აქტივს.

ახალგაზრდა დეპუტატი ქალი წყენით აღნიშნავს ერთ ნაკლს, რომლის შესახებაც ამომრჩევლები ხშირად შესჩივიან. საქმე ის არის, რომ სადგურ ზესტაფონიდან — ჩხარის რაიონულ ცენტრამდე არც ერთი ავტობუსი არ დადის. მიუხედავად საკითხის არა ერთხელ დაყენებისა, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო ამ საქმეს უსულგულოდ ეკიდება.

დეპუტატის საწერი მაგიდა ნავსეა ამომრჩეველთა წერილებით, იგი დიდი ყურადღებით ეპყრობა მათ, ოპერატიულად ეხმაურება ამომრჩეველთა ყოველ სიგნალს, საქმით ეხმარება მათთვის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში.

აქ. გოცირიძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

უხვი და მყარი მოსავლის მოყვანის სტალინური გეგმა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი მოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ნარგავების, ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ" ჩვენი დროის უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებაა.

პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილებაში, რომელიც დიდი სტალინის ინიციატივით იქნა მიღებული, მოცემულია გვალვიან ველებში ბუნების პროფესიონალად გარდაქმნის გრანდიოზული პროგრამა.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყე-ველიან რაიონებში სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობის სტალინური გეგმა ნათლად მოწმობს ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის განუწყვეტელ ზრუნვას ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში ასეთი უმაგალითო მასშტაბის სამუშაოს განხორციელება, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბრძნული დადგენილებით არის დასახული, მოწმობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის დიად ძალას და მის სიცოცხლისუნარიანობას. ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „კოლექტივიზაციის მეთოდი უაღრესად პროგრესული მეთოდი აღმოჩნდა არა მარტო იმიტომ, რომ იგი არ მოითხოვდა გლეხების გაკოტრებას, არამედ განსაკუთრებით იმიტომაც, რომ მან შესაძლებლობა მოგვცა რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი ჩვენი ქვეყანა მოგვეფინა მსხვილი კოლექტიური მეურნეობებით, რომელთაც საშუალება აქვთ გამოიყენონ ახალი ტექნიკა, გამოიყენონ ყველა აგრონომიული მიღწევანი და მისცენ ჩვენს ქვეყანას მეტი სასაქონლო პროდუქცია".

მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერება ითვალისწინებს კონკრეტულ ღონისძიებებს სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში გვალვის წინააღმდეგ ბოლშევიკური შეტევისა და მასზე სრული გამარჯვებისათვის. ეს რაიონები ჩვენი დიდი ქვეყნის ვრცელ სასოფლო - სამეურნეო ზონას შეადგენენ. მიწათმოქმედების მზარდი კულტურის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილს მოსავლიანობის გადიდების მხრივ დიდ ზიანს აყენებს გვალვა და ნიადაგის ეროზია.

ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მიწათმოქმედების ცენტრალურ - შავნიადაგიანი ზოლის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მინდვრებზე, სადაც ყველაზე სრულად არის დანერგილი მოწინავე საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების — ვ. ვ. დოკუჩაევის, პ. ა. კოსტიჩევისა და ვ. რ. ვილიამსის მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა, მარცვლეულის უხვი მოსავალი მოჰყავთ ამინდის ყოველგვარ პირობებში. 1946 წელს, როცა დიდი გვალვა იყო, ინსტიტუტის მინდვრებზე მოყვანილ იქნა ჰექტარზე 16,5 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 15 ცენტნერი საშემოდგომო ჭვავი, 10,6 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი, 15.8 ცენტნერი შვრია და 21,2 ცენტნერი მზესუმზირა, მაშინ როცა მის მახლობელ კოლმეურნეობებში მოყვანილ იქნა მარცვლეული კულტურების 3-4-ჯერ ნაკლები მოსავალი. როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტს", რომელმაც აითვისა ნათესბალახიანი თესლბრუნვა და 600 ჰექტარზე მეტ ფართობზე გააშენა მინდორსაცავი ტყის ზოლები, ყოველწლიურად მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მოჰყავს. როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის კოლმეურნეობებმა, რომლებმაც თავიანთ მინდვრებზე გააშენეს 2.600 ჰექტარი მინდორსაცავი ტყის ზოლები, აითვისეს ნათესბალახიანი თესლბრუნვა და გამოიყენეს მაღალი აგროტექნიკა, მოიპოვეს სერიოზული წარმატებანი, თვით გვალვიან, 1946 წელს ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მიიღეს 13,6 ცენტნერი მარცვლეული კულტურების მოსავალი. ამ რაიონის ცალკეულმა კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანეს 18 ცენტნერი მოსავალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია გვალვაზე სრული გამარჯვების გრანდიოზული პროგრამა. პარტიისა და მთავრობის დადგენილება ამასთანავე აღნიშნავს, რომ მეცნიერებით დამტკიცებულია, ხოლო მოწინავე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ებისა და რაიონების პრაქტიკით დადასტურებულია, რომ ამ რაიონებში სწორი მიწათმოქმედების შემოღებით ყველა პირობა არსებობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მისაღებად და მეცხოველეობის განვითარებისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად.

ამისათვის აუცილებელია, როგორც ეს პარტიისა და მთავრობის დადგენილებაშია ნათქვამი, ველიანი და ტყე-ველიანი რაიონების კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მრავალი წლის გამოცდილების საფუძველზე 1949 წლიდან დაიწყონ და გეგმიანად და ფართოდ დანერგონ სოციალისტური მიწათმოქმედების აღმავლობის აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემა გამოჩენილი რუსი აგრონომების ვ. ვ. დოკუჩაევის, პ. ა. კოსტიჩევისა და ვ. რ. ვილიამსის მოძღვრების შესაბამისად, რომელმაც მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის სახელწოდება მიიღო.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემის შემადგენელი ელემენტებია:

პირველი. მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენება წყალგამყოფებზე, თესლბრუნვის მინდვრების საზღვრებზე, ხევების კალთებზე, მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, გუბურებისა და წყალსატევების გარშემო, აგრეთვე ქვიშნარების გატყევება და შემაგრება.

მეორე. ტერიტორიის სწორი ორგანიზაცია და ნათესბალახიანი მინდვრის და საკვები თესლბრუნვის შემოღება და მიწის სავარგულების რაციონალური გამოყენება.

მესამე. ნიადაგის დამუშავების, ნათესების მოვლის სწორი სისტემა და, უწინარეს ყოვლისა, საშემოდგომო ანეულის, მზრალისა და ნაწვერალის ოშვის ფართოდ გამოყენება.

მეოთხე. ორგანული და მინერალური სასუქების გამოყენების სწორი სისტემა.

მეხუთე. ადგილობრივ პირობებთან შეგუებული უხვმოსავლიანი ჯიშების საუკეთესო თესლით თესვა.

მეექვსე. მორწყვის განვითარება ადგილობრივი წყლების გამოყენების ბაზაზე გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გზით.

დოკუჩაევ - კოსტიჩევ - ვილიამსის მთელი კომპლექსის ურყევად განხორციელება გვალვასთან ბრძოლის გადამწყვეტი საშუალებაა.

პარტია და მთავრობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდნენ დოკუჩაევ-კოსტიჩევ-ვილიამსის კომპლექსის დანერგვას სოციალისტურ მიწათმოქმედებაში. საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ყველა მნიშვნელოვან დადგენილებაში ხაზგასმით არის აღნიშნული ნათესბალახიანი თესლბრუნვის დანერგვის და მინდორსაცავი ტყის ზოლის გაშენების უდიდესი სარგებლობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში.

დიდი სტალინი თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XVII ყრილობაზე ამბობდა: „სოფლის მეურნეობის ერთერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს სწორ თესლბრუნვათა შემოღება, წმინდა ანეულის გაფართოება, სათესლე საქმის გაუმჯობესება მიწათმოქმედების ყველა დარგში". ახორციელებდა რა დიდი სტალინის მითითებებს, ათასობით და ათიათასობით კოლმეურნეობამ მტკიცედ დაიცვა თავიანთი მინდვრები გვალვისაგან.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებით იქმნება ტყის საცავი ზოლების სახელმწიფო სისტემა, ფართოდ მოეწყობა სატყეო სანერგეები, სარგავი მასალის გამოსაყვანად, ტყის გასაშენებელ სამუშაოთა მექანიზაციისათვის დაიხარჯება დიდძალი სახსრები.

სახელმწიფო ტყის საცავი ზოლების სიგრძე 5.300 კილომეტრს გადააჭარბებს, ესე იგი მანძილი მეტი იქნება, ვიდრე მოსკოვიდან ირკუტსკამდე. მსოფლიო ისტორიას ჯერ კიდევ არ ახსოვს ასეთი მასშტაბის სამუშაოები.

გვალვასთან ბრძოლის სტალინური გეგმა ითვალისწინებს გვალვიან ველებში მძლავრი მწვანე ნაგრავების შექმნას ცხელი ქარების საწინააღმდეგოდ. ამ მიზნით გათვალისწინებულია 15 წლის განმავლობაში 8 დიდი სახელმწიფო ტყის ზოლის შექმნა.

გვალვიანი ველების ბუნების გარდაქმნის გეგმის გრანდიოზულობა იქიდანაც ჩანს, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც სამუშაოები იწარმოებს, მოთავსებულია 80 ათასამდე კოლმეურნეობა, ხოლო მათთვის გადაცემული მიწის ფართობი აღწევს 120 მილიონ ჰექტარს.

დიდი მუშაობა ჩატარდება სწორი ნათესბალახიანი თესლბრუნვის ათვისებისა და დანერგვის საქმეში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს, რომ ველიანი და ტყე-ველიანი ზოლების ყველა კოლმეურნეობაში სწორი ნათესბალახიანი თესლბრუნვის ათვისება დამთავრდეს არა უგვიანეს 1955 წლისა.

მიწათმოქმედების ნათესბალახიანი სისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორგანული და მინერალური სასუქების სწორად გამოყენებასთან. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობებში ადგილობრივი სასუქების და უწინარეს ყოვლისა ნაკელის სწორად შენახვას. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ არა უგვიანეს 1953 წლისა უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა კოლმეურნეობაში ადგილობრივი სასუქების სწორი დაგროვება და შენახვა.

დადგენილებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ტყესაცავი სადგურების მოწყობას სატყეო სამუშაოთა მექანიზაციის მიზნით. 1949-1951 წლებში მოეწყობა 570 ტყესაცავი სადგური, აქედან 270 სადგური სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, ხოლო 300 სადგური სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტროს ხაზით. გეგმით გათვალისწინებულია გუბურებისა და წყალსატევების ფართო მშენებლობა. 1949-1955 წლების განმავლობაში კოლმეურნეობებში აშენებულ იქნება 41.300 გუბურა და წყალსატევი, საბჭოთა მეურნეობებში კი — 2.928.

სატყეო მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებულებას „მინდორსაცავი ტყის გაშენების დარგში მიღწევებისათვის კოლმეურნეების, ტყესაცავი სადგურების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობებისა და სატყეო მეურნეობების მუშაკთა სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებისა და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ".

ხორციელდება ბუნების დიდი გარდამქმნელის ი. ვ. მიჩურინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „მე ვხედავ, რომ საკოლმეურნეო წყობილება, რომლის მეოხებითაც კომუნისტური პარტია იწყებს მიწის განახლების დიდ საქმეს, მშრომელ კაცობრიობას მიიყვანს ბუნების ძალებზე ნამდვილ ბატონობამდე.

მთელი ჩვენი ბუნებისმეტყველების დიადი მომავალი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებშია".

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ბრძნული გადაწყვეტილება ველიანი და ტყე-ველიანი ბუნების გარდაქმნის შესახებ ჰქმნის ახალ პირობებს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის, მოსავლის პროგრესიულად ზრდისათვის კომუნისტური მშენებლობის საკეთილდღეოდ.

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნე გლეხობა, სოფლის მეურნეობის მუშაკები დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით განახორციელებენ უხვი და მყარი მოსავლის მოყვანის დიად პროგრამას.

თ. კუნჭულია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

საბერძნეთის საკითხის განხილვა

საბჭოთა დელეგაცია იბრძვის მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბალკანეთში

პარიზი, 28 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს პოლიტიკურ კომიტეტში, რომელიც საბერძნეთის საკითხს განიხილავს, მთავარი ყურადღება ექცეოდა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ა. ი. ვიშინსკის გამოსვლას. დაამტკიცა რა სრული უსაფუძვლობა ცილისმწამებლური ბრალდებისა, რაც ეგრეთწოდებულმა ბალკანეთის კომისიამ ვაშინგტონის მითითებით საბერძნეთის ჩრდილოეთი მეზობლების წინააღმდეგ წამოაყენა, და ამხილა რა საბერძნეთის საშინაო საქმეში ჩარევის ნამდვილი დამნაშავეები—ამერიკელი იმპერიალისტები, საბჭოთა დელეგაცია კვლავ წარსდგა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე როგორც მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის მებრძოლი.

ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასაწყისში აღნიშნა, რომ ეგრეთწოდებულმა ბალკანეთის კომისიამ უხეშად დაარღვია გენერალური ასამბლეის 1947 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რითაც ბალკანეთის კომისიას მიენდო—ხელი შეეწყო საბერძნეთსა და მის ჩრდილოეთ მეზობლებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებისათვის. ამის ნაცვლად ბალკანეთის კომისიამ თვითნებურად მიითვისა საგამომძიებლო ორგანოს ფუნქციები, თუმცა ამისათვის არა ჰქონია არც რწმუნება, არც გამოცდილება, არც გამომძიებელთა მომზადებული აპარატი. ბუნებრივია, რომ კომისიამ გამოკვლევის დროს დაუშვა უხეში შეცდომები, რომლებიც მის მუშაობას ყოველგვარ ღირებულებას უკარგავენ.

ა. ი. ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ კომისიის მიერ თავის მოვალეობათა დარღვევა ისე ცხადი და აუტანელი იყო, რომ ავსტრალიის დელეგაციამ საჭიროდ მიიჩნია გაეკეთებინა შენიშვნა, რომ კომისიამ უგულებელჰყო თავისი ძირითადი ამოცანა და ცდილობდა ემოქმედნა იმ გამომკვლევი კომისიის მაგალითისამებრ, რომელიც თავის დროზე უშიშროების საბჭომ დააარსა.

ვიშინსკიმ ყოველმხრივი პოლიტიკური და იურიდიული ანალიზი გაუკეთა ბალკანეთის კომისიის მოხსენებებს და ცხადჰყო, რომ მის შეგროვებულ მასალას არა აქვს პრაქტიკული ღირებულება და დამამტკიცებელი საბუთების ძალა. ბალკანეთის კომისია მეტად განურჩევლად ეპყრობოდა მოწმეებს. დამახასიათებელია, რომ მის მიერ დაკითხული მოწმეები დოკუმენტებში აღნიშნული არიან მხოლოდ პირობითი ნომრებით, მათი გვარები და მისამართი უცნობია. ხშირად მისიის თვით თანამშრომლები მოწმეთა ჩვენების ჩანაწერს ასეთ შენიშვნებს უკეთებდნენ: „თუმცა მოწმე უჭკუო და ოდნავ მთვრალი სჩანდა, მაინც იმ დასკვნამდე მივედით, რომ იგი გულწრფელად ლაპარაკობდა და შეიძლება ვენდოთ".

ა. ი. ვიშინსკიმ გამოაქვეყნა ასეთი შენიშვნები, და დარბაზმა ამას მხიარული გამოცოცხლებით უპასუხა.

შემდეგ ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ იმ მოწმეთა შორის, რომელთა ჩვენებასაც ემყარება კომისიის დასკვნები, არის ბევრი პარტიზანი, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ბერძენ ხელისუფალთა ხელში იყო. მათს ნაწილს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ასეთი „მოწმეების" დაკითხვას ესწრებოდნენ ბერძენი ოფიცრები. ძნელი არ არის ამის დანახვა, თუ რა ფასი აქვს ასეთ ვითარებაში მიღებულ ჩვენებებს.

მეორე მხრივ, კომისია თავის დასკვნებში ემყარება სამშობლოს იმ გამცემთა ჩვენებას, რომლებიც ბულგარეთიდან გაიქცნენ და მზად არიან გააკეთონ ყოველგვარი განცხადება, მიმართული ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ზიანის მისაყენებლად.

ვიშინსკიმ ცხადჰყო, რომ, მიუხედავად ამისა, ეგრეთწოდებულმა ბალკანეთის კომისიამ ვერ შესძლო შეექმნა საბერძნეთის ჩრდილოეთი მეზობლებისათვის წაყენებულ ბრალდებათა სიმართლის ნასახიც კი. ეს ბრალდებანი აგებულია იმის მსგავს დასკვნებზე, როგორიც გააკეთა **ნრ 2** სამეთვალყურეო ჯგუფმა, რომელმაც მთის ერთ ბილიკზე აღმოაჩინა შოკოლადის შესაფუთავი ქაღალდი და მივიდა დასკვნამდე—ამ ბილიკით პარტიზანებს გაუვლიათო.

თვით მოწმეთა ჩვენებანი უმთავრესად დამყარებულია არა იმაზე, რაც მოწმეებმა ნახეს, არამედ იმაზე, რაც მათ გაიგონეს. მაგალითად, იმ ფაქტის დასასაბუთებლად, თითქოს ბულგარეთი სამხედრო დახმარებას უწევდა ბერძენ პარტიზანებს, მოყვანილია ვიღაც მოწმის განცხადება, რომელმაც სთქვა: ჩემმა მეგობარმა, ბულგარელმა პურის მცხობელმა, მითხრა—პურს ბერძენი პარტიზანებისათვის ვაცხობდიო.

ვიშინსკიმ შეაჯამა ბალკანეთის კომისიის მიერ შეგროვებული მასალის ანალიზი და სთქვა: შეიძლება მხოლოდ გვიკვირდეს, თუ როგორ გასწევს რისკი ოთხი სახელმწიფოს—ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა და ასეთ არაკეთილხარისხოვან მასალაზე დამყარებული რეზოლუცია შემოიტანეს. ამის გაკეთება შეიძლებოდა მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ კომიტეტის არც ერთი წევრი ამ აბდაუბდას არ ჩასწვდებოდა.

შეეხო რა მაკნეილის ცდას—ბრალი დაედო ალბანეთისა და ბულგარეთისათვის, თითქოს ისინი ეწინააღმდეგებოდნენ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილების შესრულებას, რომელიც რჩევას აძლევდა მათ აღედგინათ დიპლომატიური ურთიერთობა საბერძნეთთან, ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ ნამდვილად ეს დიპლომატიური ურთიერთობა დღემდე აღდგენილი არ ყოფილა საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის მიზეზით. მან მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტურ მთავრობას დღემდე ხელი არ აუღია თავისი მეზობლებისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე. უფრო მეტიც, ამ მთავრობამ ალბანეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის წინასწარ პირობად წამოაყენა... მისთვის გადაეცათ ჩრდილოეთი ეპირი, რომელიც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაშია.

შემდეგ საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ცხადჰყო ამერიკის დელეგატ დალესის მსჯელობის სრული უსაფუძვლობა, რომელიც ცდილობდა საქმე ისე დაესახა, თითქოს საბერძნეთში მთავრობას ებრძვის მხოლოდ „ექსტრემისტთა" ჯგუფი, რომელსაც დახმარებას გარედან უწევენ. ვიშინსკიმ სთქვა: ეს არის უკვე არაერთგზის გამოაშკარავებული ძველი ზღაპარი. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ასეთ ვერსიას არაერთგზის მიმართავდნენ ისინი, ვინც ცდილობს გაამართლოს თავისი უმწეობა სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ეს ძველი ზღაპრები წარმოადგენენ მხოლოდ იმათი უვიცობის პროდუქტს, ვინც კისრულობს სხვებს ასწავლოს საზოგადოებრივი განვითარების კანონები, მაგრამ თვითონ კი ეს კანონები არ იცის და ვერც ერკვევა მათში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილად საბერძნეთში სწარმოებს ბრძოლა ხალხსა, რომელიც იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, და რეაქციულ მთავრობას შორის, რომელიც ნებაყოფლობით ემსახურება იმათ, ვინც საბერძნეთს განიხილავს როგორც მოხერხებულ პლაცდარმს თავისი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ, კერძოდ, ბრიტანეთის დელეგატმა მაკნეილმა თვითონ აღიარა: დიდ ბრიტანეთს საბერძნეთში სტრატეგიული ინტერესები აქვსო. რაც შეეხება შეერთებულ შტატებს, მათ საბერძნეთი თავის სრულ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიურ კონტროლში მოაქციეს. როგორც ვიშინსკიმ აღნიშნა, ამერიკის ეკონომიური მისია ათენში ტრამვაის ბილეთების ფასსაც კი აწესებს.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა პოლიტიკური კომიტეტის წევრთა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტურმა მთავრობამ დღემდე ვერ მოახერხა ჩაეხშო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავის ქვეყანაში, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ავანტიურაზე უკვე დახარჯეს 800 მილიონზე მეტი დოლარი. ა. ი. ვიშინსკიმ გაიხსენა, რომ ტრუმენმა ამა წლის თებერვალში კონგრესისათვის წარდგენილ თავის კვარტალურ ანგარიშში აღიარა, რომ საბერძნეთში კვლავ გამეფებულია „საერთო დაუდგრომლობა".

ა. ი. ვიშინსკიმ თავისი სიტყვის დასასრულს აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი ვერ გამოიწვევს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას ბალკანეთში. ეს პროექტი მიმართულია არა ეგრეთწოდებული საბერძნეთის საკითხის მოსაწესრიგებლად, არამედ მსოფლიო ბატონობის ამერიკის გეგმის განხორციელებისათვის ხელშესაწყობად. ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი საბერძნეთს განიხილავენ როგორც მათთვის საჭირო ერთ-ერთ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს. ასეთი რეზოლუციის მიღება,—სთქვა ვიშინსკიმ,—სამარცხვინო იქნებოდა პოლიტიკური კომიტეტისათვის. საბჭოთა დელეგაციის აზრით, გენერალური ასამბლეა უფრო სწორად მოიქცეოდა, თუ საბერძნეთის მთავრობას ურჩევდა განეხორციელებინა საჭირო ღონისძიებანი ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაციის აღსაკვეთად; უფრო სწორი იქნებოდა, თუ გენერალური ასამბლეა ურჩევდა საბერძნეთის, ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიის მთავრობებს განაახლონ და დასდონ ახალი კონვენციები სასაზღვრო საკითხთა მოსაწესრიგებლად და შეთანხმება ლტოლვილთა შესახებ; უფრო სწორი იქნებოდა, თუ გენერალური ასამბლეა რჩევას მისცემდა, საბერძნეთიდან გამოეწვიათ უცხოეთის ჯარები და ყველა უცხოელი სამხედრო სპეციალისტი; უფრო სწორი იქნებოდა, თუ გენერალური ასამბლეა გადასწყვეტდა დაეშალა ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისია, რომლის საქმიანობაც ხელს უწყობს მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციას.

— საბჭოთა დელეგაცია იბრძოლებს ამ პოზიციისათვის იმ იმედით, რომ მას მხარს დაუჭერს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ინტერესები, — დაასკვნა ვიშინსკიმ.

ბულგარეთის წარმომადგენელმა ვლადიგეროვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მთავრობას არაერთგზის მიუცია წინადადება საბერძნეთთან თავისი ურთიერთობის მოსაგვარებლად და დიპლომატიური ურთიერთობის აღსადგენად. მაგრამ ეს თაოსნობა ყოველთვის ხვდებოდა არაკეთილსასურველ დამოკიდებულებას საბერძნეთის მთავრობის მხრივ, რომელიც ასეთი მოწესრიგების სრულიად მიუღებელ წინასწარ პირობებს აყენებდა. შემდეგ ვლადიგეროვმა გაიხსენა, რომ საბერძნეთის მთავრობის ჯარები სისტემატურად პროვოკაციულად აწყობენ სასაზღვრო შეტაკებებს და არღვევენ ბულგარეთის საზღვრებს. მარტო 1947 წლის მარტიდან 1948 წლის სექტემბრამდე განვლილ პერიოდში საბერძნეთის შეიარაღებულმა ძალებმა 147-ჯერ დაარღვიეს ბულგარეთის საზღვრები.

ბულგარეთის წარმომადგენელმა თავისი სიტყვის დასასრულს იმედი გამოსთქვა, რომ ბოლო მოეღება შინაურ განხეთქილებას საბერძნეთში, რომ ბერძენი ხალხი კვლავ მოიპოვებს თავისუფლებას და შესძლებს თვითონ ააგოს საკუთარი მომავალი.

— ბულგარეთის მთავრობას იმედი აქვს, — სთქვა ვლადიგეროვმა,—რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ბოლოს და ბოლოს გამოსძებნის გადაწყვეტილებას, რომელიც შეეფერება საბერძნეთის პრობლემის ნამდვილ ხასიათს, რათა ეს პრობლემა აღარ იქნეს ტანჯვის, მღელვარებისა და მშვიდობისათვის საფრთხის მუდმივი წყარო, ამავე დროს ბულგარეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ საბოლოო ანგარიშით სცნობენ მის კანონიერ უფლებას—თავისი ადგილი დაიკავოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა შორის.

საბერძნეთის დელეგატმა წარმოსთქვა გრძელი მოურიდებელი სიტყვა, რომელიც სანახევროდ აღსავსე იყო მლიქვნელური ქებით ბერძენ მონარქისტ-ფაშისტთა ამერიკელი მფარველების მიმართ, ხოლო სანახევროდ უწმაწური ლანძღვით სსრ კავშირისა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების მიმართ. საბერძნეთის დელეგატი კვლავ ქება-დიდებით იხსენიებდა ეგრეთწოდებული ბალკანეთის კომისიის საქმიანობას. ფაქტების გაყალბებასა და დამახინჯებაზე აგებულ მის დასკვნებს იგი გვთავაზობდა, როგორც შეუმცდარ დასკვნებს.

საბერძნეთის დელეგატი არ მოერიდა და კვლავ მიმართა ძველს, თავის დროზე მხილებულ ნაყალბევს, რომელიც იმეორებს ცილისმწამებლურ ჭორებს, თითქოს საბერძნეთისა და ბულგარეთის კომუნისტურმა პარტიებმა შეთანხმება დასდეს... ბალკანეთში საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნის შესახებ. უხადრუკ შთაბეჭდილებას სტოვებდა საბერძნეთის დელეგატის ცდა—საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს საბერძნეთში არსებობს დემოკრატია, თითქოს იქ არსებობს პრესის თავისუფლება, კრების თავისუფლება და სხვ. თუ რა ფასი აქვს ასეთ მსჯელობას, ცხადჰყო თვით საბერძნეთის დელეგატმა, რომელმაც იქვე აღიარა, რომ საბერძნეთის მთავრობა ხვრეტს ათასობით პარტიზანს.

უცხოეთის გამოხმაურება „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის გამო

ინგლისი

ლონდონი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ლონდონის გუშინდელმა გვიან საღამოს გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას გამოაქვეყნეს ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე.

დღისით და საღამოს ი. ბ. სტალინის პასუხის შინაარსი გადასცა ლონდონის რადიომ. ლონდონის რადიოს კომენტატორმა, ინგლისის ოფიციალური წრეების დამოწმებით, სცადა ემტკიცებინა, თითქოს მოსკოვის 30 აგვისტოს შეთანხმება ბერლინის საკითხზე ვერ განხორციელდა იმიტომ, რომ ვერ დაითანხმეს „საბჭოთა გენერალ-გუბერნატორი გერმანიაში" მარშალი სოკოლოვსკი, აგრეთვე ცდილობდა სადავოდ გაეხადა, რომ პარიზში მიღწეულ იქნა შეთანხმება ბერლინის საკითხის გადაწყვეტის თაობაზე.

გაზეთები „ნიუს ქრონიკლი", „დეილი ექსპრესი" და „დეილი უორკერი" მთავარ ადგილს უთმობენ ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხს გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე. სხვა გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ ამ თემას და მათი უმრავლესობა პირველ გვერდზე აშუქებს მას.

გაზეთების უმეტესობა ამხანაგ სტალინის პასუხს სარედაქციო სტატიებს უთმობს და ცდილობს სადავოდ გახადოს ეს პასუხი.

ინგლისური გაზეთების კორესპონდენტები სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში ძლიერ ცდილობდნენ შეეკრიბათ გამოხმაურებანი ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის გამო, რათა დაემცირებინათ მისი მნიშვნელობა. იგრძნობა, რომ ამხანაგ სტალინის პასუხმა „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე შეაშფოთა დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწეები და, თუმცა ზოგიერთი ამერიკელი წარმომადგენელი ამტკიცებს, პასუხი ახალს არაფერს შეიცავსო, მაგრამ მთელი რიგი კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ დასავლეთის სახელმწიფო მოღვაწენი გაცხოველებით მსჯელობენ, თუ რა პასუხი გასცენ.

გაზეთ „დეილი ექსპრესის" პარიზელ კორესპონდენტს მოჰყავს აზრი ინგლისელი წარმომადგენლისა, რომელსაც იგი არ ასახელებს, რომ დასავლეთის მთავრობები იხილავენ საკითხს, „მოითხოვს თუ არა პასუხს სტალინის განცხადება". კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სტალინის პასუხი მოულოდნელი იყო დელეგატებისათვის პარიზში „და ყველა ცდილობდა მიეღო პასუხის ტექსტი".

საფრანგეთი

პარიზი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). მთელი პარიზის პრესა გამოეხმაურა ი. ბ. სტალინის მიერ „პრავდის" კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუს. „ფრანს პრესის" სააგენტოს მოჰყავს მოსაზრებანი სხვადასხვა გაზეთისა, რომელთა უმეტესობა ცდილობს ბერლინის მდგომარეობასთან დაკავშირებული ფაქტების დამახინჯების გზით შეასუსტოს ი. ბ. სტალინის განცხადების შთაბეჭდილება.

პოლონეთი

ვარშავა, 29 ოქტომბერი. (საკდესი). პოლონეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხის სრული ტექსტი.

გაზეთები დიდრონი სათაურებით ხაზგასმით აღნიშნავენ ი. ბ. სტალინის მიერ გამოთქმულ მთავარ აზრებს.

„ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის აგრესიული პოლიტიკის ინსპირატორები,—სწერს გლეხთა გაზეთი „ძენიკ ლუდოვი",—არ ისწრაფვიან გულწრფელ შეთანხმებას მიაღწიონ საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის საქმეში".

სტრონიცტვო დემოკრატიჩნეს ორგანო გაზეთი „კურიერ ცოძენი" აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ ერთობ ცოცხლად ახსოვს ხალხს ამასწინანდელი ომის საშინელება, ერთობ დიდია მშვიდობის საგუშაგოზე მდგომი საზოგადოებრივი ძალები და აგრესორები ვერ შესძლებენ ახალი ომის გაჩაღებას".

„გაზეტა ლუდოვა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებმა ორჯერ გააუქმეს მიღწეული შეთანხმება.

„გენერალისიმუს სტალინის პასუხი,—სწერს გაზეთი „გლოს ლუდუ",—ყველაფერს აშკარავებს ბერლინის საკითხზე. ეს პასუხი არ სტოვებს რაიმე ხარვეზსა და ბუნდოვანებას".

ლიბანი

ბეირუთი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ყველა ადგილობრივმა გაზეთმა პირველ გვერდზე დიდრონი სათაურით გამოაქვეყნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი გაზეთ „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე. ბევრმა მათგანმა მოათავსა ამხანაგ სტალინის სურათი. მეტ წილ გაზეთებს სათაურებად მოჰყავთ პასუხის ტექსტის ცალკეული ფრაზები.

გაზეთმა „ეურმა" პასუხის სრული ტექსტი მოათავსა შემდეგი სათაურით: „ანგლო-საქსების ახლანდელი პოლიტიკა აგრესიის პოლიტიკაა".

შვეცია

სტოკჰოლმი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სტოკჰოლმის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე.

„მორგონტიდნინგენი" ამხანაგ სტალინის პასუხის შინაარსს ათავსებს შემდეგი სათაურებით: „დასავლეთმა სახელმწიფოებმა ორი შეთანხმება დაარღვიეს ბერლინის შესახებ. სტალინის განცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წრეებში".

„სტოკჰოლმს ტიდნინგენის" სათაური ასეთია: „სტალინს სწამს მშვიდობა. იგი ენერგიულად ჰგმობს დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკის ხელმძღვანელებს".

გერმანია

ბერლინი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). „პრავდის" კორესპონდენტის კითხვებზე ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ბერლინის ყველა გაზეთის მთავარი თემაა.

ბერლინის დემოკრატიული გაზეთები ხაზგასმით აღნიშნავენ, უწინარეს ყოვლისა, იმ ფაქტს, რომ ამხანაგმა სტალინმა ამხილა ომის გამჩაღებელნი.

გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა" ი. ბ. სტალინის პასუხის სრული ტექსტი გამოაქვეყნა დიდი სათაურით: „ომის გამჩაღებლებმა დაარღვიეს შეთანხმება".

ქრისტიან დემოკრატთა კავშირის გაზეთი „ნოიე ცაიტი" დიდ სათაურში აღნიშნავს: „მშვიდობის ძალები უძლეველნი არიან".

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაზეთი „ტრიბიუნე" კომენტარში, რომლის სათაურია „შიში მშვიდობის წინაშე", სწერს: ბერლინში უკვე შეიძლებოდა აღდგენილი ყოფილიყო ნორმალური პირობები პარიზში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ამ საქმეში რომ კვლავ არ ჩარეულიყვნენ ძალები, რომლებიც ომისაკენ ისწრაფვიან. სრულიად აშკარაა, რომ ეს ძალები საბჭოთა წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას მხოლოდ პროფორმისათვის აწარმოებენ, რათა შეცდომაში შეიყვანონ მსოფლიო საზოგადოებრიობა. მაგრამ რაწამს მოლაპარაკებაში დაისახება შეთანხმება, მას ფუშავენ და საზიზღარ დამახინჯებათა საშუალებით ცდილობენ ბრალი გადააკისრონ საბჭოთა მთავრობას".

ბერლინის დასავლეთი სექტორების პრესაში ამხანაგ სტალინის პასუხმა დაბნეულობა და აზრთა სხვაობა გამოიწვია.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიელი ხალხი უდიდესი ყურადღებით შეხვდა ამხანაგ სტალინის მიერ „პრავდის" კორესპონდენტისათვის მიცემულ პასუხს ბერლინის საკითხზე. პრაღის, ბრატისლავისა და ჩეხოსლოვაკიის სხვა დიდი ქალაქების ყველა გაზეთმა ამხანაგ სტალინის პასუხი დიდი სათაურით გამოაქვეყნა პირველ გვერდზე. გაზეთები ერთსულოვნად აღნიშნავენ ხაზგასმით, რომ განცხადება ი. ბ. სტალინისა, რომელსაც ზურგს უმაგრებს საბჭოთა კავშირის უდიდესი ავტორიტეტი, არა მარტო საბოლოოდ ამხილებს ომის გამჩაღებლებს და ხალხთა შორის სიძულვილის გამღვივებელთა მეთოდებს, არამედ იმას ახალ რწმენას გვინერგავს, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით სჯობნიან ომის გამჩაღებელთა ბანაკს.

გაზეთი „რუდე პრავო" წერს, რომ გენერალისიმუსმა სტალინმა თავისი ნათელი სიტყვებით ცხადჰყო, თუ ვინ ისწრაფვის აგრესიული ომისაკენ და ვის სურს მშვიდობა. ყველაზე დიდი დამსახურება იმაში, რომ ახლა მსოფლიო ძალები ძლიერი არიან,—სწერს შემდეგ გაზეთი,—მიუძღვის, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებიც ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით იბრძოდნენ, იბრძვიან და კვლავაც იბრძოლებენ მშვიდობისათვის.

გაზეთი „მლადა ფრონტა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი ბერლინის საკითხში ერთიან და ნათელ პოლიტიკას ახორციელებს. სტალინის განცხადებამ სავსებით დაადასტურა, რომ სწორედ სსრ კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები არიან დაინტერესებული მშვიდობით და იცავენ მშვიდობას. დასავლეთის იმპერიალისტური წრეები მხილებული არიან, როგორც ახალი აგრესიული ომის გამჩაღებელნი.

ფრანგ მაღაროელთა გაფიცვა გრძელდება

პარიზი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). მიუხედავად მაღაროელთა წინააღმდეგ რეპრესიების გამოსაყენებლად ამოძრავებული სადამსჯელო ძალებისა და [illegible] ოფიციალური ცნობებისა „გამარჯვების" შესახებ, რომლებიც დიდი სათაურებით ქვეყნდება რეაქციულ და სოციალისტურ პრესაში, მიუხედავად სოციალისტური პრესის მტკიცებისა, რომ მაღაროელებს „სწყურიათ" მუშაობის განახლება, მუშაობას შახტებში არ აახლებენ არა მარტო იმ რაიონებში, სადაც შახტები მაღაროელთა ხელშია, არამედ სადამსჯელო ძალების მიერ დაკავებულ შახტებშიც. მიუხედავად მუქარისა და ბრძანებისა იძულებითი მობილიზაციის შესახებ, მაღაროელები ერთსულოვანი არიან თავის მისწრაფებაში—გაფიცვა განაგრძონ მათი მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებამდე.

პოლიციის ტერორი და მანევრები გამთიშველთა „ფორს უვრიერიდან", რომლებიც მოუწოდებენ მუშაობის განახლებისაკენ, გაფიცვის საკითხზე ახალი რეფერენდუმის ჩატარებისაკენ, იწვევენ ერთიანობის უფრო გაძლიერებას მაღაროელთა შორის, უფრო მტკიცე გადაწყვეტილებას—დაიცვან გაფიცვის უფლება. მიუხედავად პოლიციის, ჟანდარმერიის, ეგრეთწოდებული „რესპუბლიკის უშიშროების რაზმების" და ჯარის მოტომექანიზებული და ჯავშანსატანკო ნაწილების დიდი კონცენტრაციისა, მთელი რიგი რაიონების მაღაროელები არა თუ ინარჩუნებენ მათ მიერ დაკავებულ შახტებს, არამედ კიდეც ართმევენ დამსჯელებს მათ მიერ წინათ დაკავებულ შახტებს.

მაგალითად, ქალაქ ნოტრ-დამის მაღაროელებმა „რესპუბლიკის უშიშროების რაზმებს" წაართვეს მათ მიერ დაკავებული შახტები და გააქციეს შეიარაღებული მცველები.

გუშინ დაიწყო შეიარაღებული ძალების ახალი შეტევა პა-დე-კალეს დეპარტამენტში. ამ დეპარტამენტში მოქმედი ჟანდარმებისა და ჯარისკაცების საერთო რაოდენობა რამდენიმე ათას კაცს აღწევს. მათს ოპერაციებს დახმარებას უწევს 50-მდე ტანკი და ჯავშნიანი მანქანა.

მაგრამ, მიუხედავად შეტევის ამ [illegible] მასშტაბისა, პა-დე-კალეს [illegible] სებულ 125 შახტიდან 100 [illegible] მაღაროელთა ხელშია. გუშინ სადამსჯელო რაზმებმა დაიკავეს მხოლოდ 4 შახტი.

პოლიციის ტერორისა და მაღაროელთა აწიოკების პასუხად დოკერებმა, მეზღვაურებმა, ნავსადგურის მუშებმა და რკინიგზელებმა თავიანთი პროფკავშირული ორგანიზაციების მოწოდებით თითქმის ყველგან შეაჩერეს საზღვარგარეთიდან საფრანგეთში შემოტანილი ქვანახშირის გადაზიდვა და გადმოტვირთვა.

ჰავრის, ბორდოს, ნანტის, მარსელის, რუანისა და ბევრ სხვა ნავსადგურებში საზღვარგარეთიდან მოსული ქვანახშირით დატვირთული გემები გადმოუტვირთავია. ბევრ სასაზღვრო სადგურში დგანან ქვანახშირით დატვირთული შემადგენლობანი.

რკინიგზელთა ფედერაციის ევროპული საბჭოს მიმართვაში ნათქვამია:

ეროვნული საბჭო პირობას აძლევს მაღაროელებს, რომ ქვანახშირით დატვირთული მატარებლები დარჩებიან საზღვარზე, სატრანზიტო სადგურებსა და ნავსადგურებში. ეროვნული საბჭო მოუწოდებს ყველა რკინიგზელს უფრო გააძლიერონ თავიანთი სოლიდარობა გაფიცულ მაღაროელებთან და გაადიდონ სახსრების შეგროვება მაღაროელებისათვის, აგრეთვე იზრუნონ მაღაროელთა ბავშვებისათვის.

ბევრ ადგილას მაღაროელთა მიმართ რეპრესიების გამოყენების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად მშრომელები რამდენიმე საათით სწყვეტენ მუშაობას. გუშინ ვიენის დეპარტამენტში მუშაობას სწყვეტდნენ რკინიგზელები, მშენებლები, ლითონის წარმოების, საზოგადოებრივ დაწესებულებათა მუშაკები და სხვ. ქალაქ ნანტში რამდენიმე საათით სავსებით შეწყდა მუშაობა ყველა საწარმოში, მუშაობა შესწყვიტეს ნიმის სარკინიგზო კვანძის რკინიგზელებმა და სხვ.

გაფიცულ მაღაროელთა პროფკავშირული ორგანიზაციის მისამართით მოდის სოლიდარობის დეპეშები და ფულადი შეწირულებანი ინგლისის, შვეიცარიის, იტალიისა და სხვა ქვეყნის მშრომელთაგან.

საბერძნეთის დემოკრატიული არმიის უმაღლესი შტაბის ბრძანება

ბელგრადი, 31 ოქტომბერი. (საკდესი). თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გადასცა დემოკრატიული არმიის უმაღლესი შტაბის ბრძანება, მიძღვნილი საბერძნეთის დემოკრატიული არმიის შექმნის ორი წლისთავისადმი. ბრძანებაში ნათქვამია, რომ დემოკრატიულმა არმიამ თავისი არსებობის ორი წლის განმავლობაში მთელ საბერძნეთში მონარქისტ-ფაშისტთა წინააღმდეგ ბრძოლით მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 120 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ამავე დროს მტკიცე საფუძველი ჩაეყარა საბერძნეთის განთავისუფლებას ინგლისელ-ამერიკელ ოკუპანტთაგან და მათი მონარქისტ-ფაშისტი მსახურებისაგან.

„უკვე ორი წელია,—ნათქვამია ბრძანებაში,—რაც საბერძნეთის დემოკრატიული არმია ძლევამოსილ წინააღმდეგობას უწევს ბრიტანელი და ამერიკელი ოკუპანტებისა და მონარქისტ-ფაშისტების გაავთრებულ იერიშებს. ამ ორი წლის განმავლობაში ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმმა ასობით მილიონი დოლარი და გირვანქა სტერლინგი დახარჯა იმისათვის, რომ მოესპო საბერძნეთის დემოკრატიული არმია და დაემონებინა ბერძენი ხალხი. იმპერიალისტებმა ათენის მთავრობას მისცეს ასიათასობით ტონა სამხედრო მასალა, ასობით თვითმფრინავი და ტანკი, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწიეს.

საიდან იღებს თავის ძალას დემოკრატიული არმია?—ნათქვამია ბრძანებაში. რატომ არის უზრუნველყოფილი ჩვენი გამარჯვება? დემოკრატიული არმია ხალხის პირმშოა. იგი შესდგება ბერძენი ხალხის საუკეთესო შვილებისაგან. ბერძენი ხალხი არის დაუშრეტელი წყარო საბერძნეთის დემოკრატიული არმიის კადრებისა, რომელიც ხალხს უმადლის თავის დიდ გამარჯვებასა და მორალურ-პოლიტიკურ უპირატესობას. ჩვენს დროშას აწერია მხოლოდ ხალხის იდეალები—თავისუფალი და დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ბედნიერი საბერძნეთი. საბერძნეთის დემოკრატიული არმია გაიმარჯვებს, ვინაიდან იგი არის ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის შეიარაღებული ავანგარდი. დემოკრატიულმა არმიამ იცის, რისთვის იბრძვის და იმარჯვებს. ეს ცხადჰყო გრამოსმა და ვიციმ, ამას ცხადჰყოფენ აგრეთვე დემოკრატიული არმიის ყოველდღიური ბრძოლები საბერძნეთის მთელ ტერიტორიაზე. ამისი ცხადმყოფი იქნება მომავალი გამარჯვება, ჩვენი მომავალი ბრძოლა, რომელიც განთავისუფლებას მიანიჭებს საბერძნეთს. დროებითი დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება არის კიდევ ერთი ძლიერი ძლევამოსილი იარაღი.

საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მებრძოლებო! დამოუკიდებელი და დემოკრატიული საბერძნეთის მებრძოლებო! დემოკრატიული არმიის მეორე წლისთავი თქვენს წინაშე ახალ ამოცანებს სახავს. ჩვენ ვიმყოფებით დიდი ამბების წინაშე. ჩვენი ძლიერი დარტყმების გამო მონარქიზმ-ფაშიზმი თავის ბატონ-პატრონებისაგან კვლავ მოითხოვს საჭურველსა და საქონელს, რათა მოამზადოს 1949 წლის ახალი შემოტევა. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ მონარქისტ-ფაშისტებმა განახორციელონ თავისი ავაზაკური გეგმები. არსებობს ყველა პირობა იმისათვის, რათა ამ ზამთრის განმავლობაში დიდი, გადამწყვეტი დარტყმა ვაგემოთ".

ბრძანება მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „საბერძნეთის განთავისუფლება დამოკიდებულია მხოლოდ ჩვენს ღონისძიებებზე. აკროპოლისში, ათენში ჩვენ აღვმართავთ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სახალხო დემოკრატიის ალამს".

წითელი ჯვრის საზოგადოების საიუბილეო საღამო

დღეს, 2 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართება წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივის საქალაქო კრება, მიძღვნილი მისი არსებობის 25 წლისთავისადმი.

მოხსენების შემდეგ კონცერტი.

8 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, პარტკაბინეტში (25 თებერვლის ქ. № 2) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს მე-4 სესია.

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, საღამოს 7 საათიდან.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**

ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოდ

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფი მთელი დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ იღებს დეპეშებს.

ელვა და სასწრაფო

როგორც მიიღება სალაროში, გადაიცემა და ჩაბარდება ადრესატს „ელვა" და სასწრაფო დეპეშები.

დეპეშები შემოწმებული ფაქტით

მიიღება დეპეშები ავადმყოფობის, ხანძრის, სიკვდილისა და სხვა შემთხვევების შესახებ, რაც დამოწმებულ უნდა იქნას ოფიციალური ცნობით.

დეპეშები ჩაბარების შეტყობინებით

ტელეგრაფი იღებს დეპეშებს და გამგზავნს შეატყობინებს პასუხს, როდის და ვის ჩაბარდა მისი დეპეშა.

მინდობილობა ტელეგრაფით

ასეთი სახის დეპეშით გამგზავნს შეუძლია გაგზავნოს ყოველი სახის მინდობილობის დედანი დეპეშით, შემოწმებული ნოტარიალური კანტორის ან დაწესებულების და ორგანიზაციის მიერ.

ტელეგრაფი იღებს მისალოც დეპეშებს ოქტომბრის დიდი რევოლუციის 31-ე წლისთავის გამო. დეპეშებს ტელეფონით 3-11-43, აგრეთვე იღებს დეპეშას და ტელეგრაფის სალაროში აღნიშნავს მისამართის წინ: „ვადამდე 7 ნოემბრის". ასეთი დეპეშები ჩაბარდება ადრესატს მხოლოდ 7 ნოემბერს.

მოქალაქენო, ისარგებლეთ ტელეგრაფის მომსახურებით.

თბილისის ცენტრალური ტელეგრაფის ადმინისტრაცია

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს თბილისის აეროპორტი იუწყება, რომ ყოველდღე სწარმოებს სწრაფი სამგზავრო კომფორტაბელური და მაგარადგილებიანი თვითმფრინავების რეგულარული მიმოსვლა მოსკოვის, ქუთაისის, სოხუმის, ადლერის, კრასნოდარის, როსტოვის, ოდესის, სიმფეროპოლის, ახალქალაქისა და წნორის მიმართულებით.

თვითმფრინავი მოსკოვში ჩადის ექვს საათში.

სწრაფ თვითმფრინავებზე არის ბუფეტი.

სწარმოებს ბილეთების წინასწარ გაყიდვა ყველა მიმართულებით დილის 8 საათიდან საღამოს 22 საათამდე, აგრეთვე სამგზავრო ბილეთების ბინაზე მიტანა.

სამხედრო პირთათვის დაშვებულია სარკინიგზო სამგზავრო მოთხოვნილებებით ბილეთების გაცემა ავიატარიფის დამატებით ნაღდ ანგარიშზე.

სწარმოებს სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა ტვირთების გადატანა განუსაზღვრელი რაოდენობით, თანახმად გადასატან ტვირთებზე დადებული ხელშეკრულებისა.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის აეროპორტის სააგენტოში, რუსთაველის პროსპ. №22, ტელეფონი № 3-59-66 და თბილისის აეროპორტის ტვირთზიდვის სამსახურში, ტელეფონი № 3-73-61 და 3-10-21.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია აცხადებს მოწაფეების დამატებით მიღებას სტუდენტთა პედაგოგიური საწარმოო პრაქტიკის სექტორის მუსიკალურ სკოლაში: **სიმღერის, ვიოლინოს, ჩელოს და კომპოზიციის კლასებში.**

სწავლა უფასოა, წლოვანება — მომღერლებისათვის 16-დან 30 წლამდე, ინსტრუმენტალისტებისათვის 6-დან 12 წლამდე.

განცხადების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში ყოველდღე დილის 10 საათიდან, დღის 5 საათამდე, გრიბოედოვის ქ. № 8, ოთახი 1, ტელეფონი 3-61-47.

საქსარეწტყეკავშირის სისტემის არტელი „ბრძოლი ავეჯი" მდებარე ბრძოლის ქუჩაზე № 43-ა (დიდუბე) იღებს ვენური სტილის სელის სკამების შეკეთებას, როგორც ორგანიზაციებისა, ისე კერძო პირებისაგან.

მოქალაქე **სალომე ივანეს ასულმა ბერიტაშვილმა,** მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 83, აღძრა საქმე ტექნიკის ქ. № 4 მცხოვრებ მოქალაქე **რევაზ სიმონის-ძე ებრალიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს პირველი ინსტანცია.

მოქალაქე **ნინო ნიკოლოზის ასულმა ფაილოძემ,** მცხოვრებმა ტრამვაის შესახვევი, № 13, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გიორგი ალექსანდრეს-ძე ფაილოძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ელენე, ლიზა, ნატალია, ანო, ეკატერინე, ალექსი, მიშა ციცქიშვილები, სიძეები ალექსანდრე მაიერი, არჩილ ორჯონიკიძე, სიმონ ამირეჯიბი ოჯახებით, მიხეილ ღემბაძე და ივანე ჯავახიშვილი იუწყებიან **ნინო ლევანის ასულ ციცქიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-XI სოფ. ზეკარში (ხაშურის რ.).

ქსენია სპირიდონის ასული ჯუღელი იუწყება ძმის **სიმონ სპირიდონის-ძე ჯუღელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-XI, 7 ს. გამოსვენება 4-XI, 5 ს. ჰოსპიტალის, 12.

მეუღლე კლავა შვილებით, ძმები მიტო, დათიკო, დები მართა, ელენე, კატო მეტრეველები ოჯახებით იუწყებიან **ვასო ფილიპეს-ძე მეტრეველის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-XI, 7 ს. რკინიგზის საავადმყოფოში. გამოსვენება 3-XI, 5 ს. იქიდანვე.

ვაკეთა მე-15 სკოლის პედკოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მასწავლებელ თინა ცაგარელს მისი შვილის პატარა **გიგის** გარდაცვალების გამო.

ძმა ლევან ოჯახით, დები თამარ, ნინო მატახერიები იუწყებიან **მერი (მაშო) ფილიპეს ასულ მეუნარგიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-XI ქ. ზუგდიდში.

„საქსოფლელექტროს" თანამშრომლები იუწყებიან ინჟინერ **დავით გიორგის-ძე კაპანაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3-XI, 7 ს. გამოსვენება 4-XI, 4½ ს. ჯავახიშვილის ქ. № 1.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები თანაგრძნობას უცხადებენ მავე ფაკულტეტის თანამშრომელ ნ. ტალია ციცქიშვილ-ლოლუას მისი დედის **ნინო ციცქიშვილის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტოსი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობისა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 12930